ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: „ნინო ლომჯარია უხილავმა ხელმა დანიშნა“

**30 ნოემბრიდან**

ჯემალ ჩახავა

## ქურდები და არიფები




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

შაბათი – კვირა, 2 – 3 დეკემბერი, 2017 №286 (7521) ფასი: 50 თეთრი

# რატომ ჩატარდა სპეცოპერაცია შს მინისტრად გახარიას დანიშვნიდან 2 დღეში?



გია ხუხაშვილი: „ჩატაევის გარდა, სხვა ტერორისტებიც შეიძლება შემოსული იყვნენ საქართველოში“

გვ.3

## სუსი: „ახმედ ჩატაევმა ბინაში თავი აიფეთქა“

გვ.2




„ბინიდან არავინ გაქცეულა“

გოჩა მირცხულავა: „პატრიარქობისთვის მინიმუმ 3 კანდიდატი იბრძოლებს“



გვ.3

## რას ემსახურება საპატრიარქოს დელეგაციის რუსული და ამერიკული ვოიაჟები

## აფხაზეთში ნარკოტიკების გამავრცელებლებისთვის სასჯელი მკაცრდება



საოკუპაციო რეჟიმი რესპუბლიკას ვერ მართავს?

გვ.5

## იძიებს თუ არა შურს ხალიფატი



გვ.2

ზაალ კასრელიშვილი: „ახმედ ჩატაევი საქართველოში შემოიპარა“

**ეკონომიკა**

გვ.6 „2007 წელს „ლაღიძის წყლების“ ძველი ტერიტორია სახელმწიფომ გაყიდა“






„საქართველოს კომერციული ბანკები მომგებიანობით ევროპის და აზიის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა“

„მოსახლეობის კეთილდღეობა რომ გაიზარდოს, ეკონომიკის ზრდის ორნიშნა მაჩვენებელი უნდა გვქონდეს“





პირველი არხის ახალი შენობა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე აშენდება

ISSN 1987-9385

**4** მოსწავლეთა შორის ჩხუბს ხორავას ქუჩაზე მსხვერპლი მოჰყვა

**2** „მათე მოტორსის“ დამფუძნებელ გელა ბარკალაიას 6 წელი და 10.000 ლარი მიესაჯა ქალის წამებისა და შანტაჟისთვის

**5** პეტრე მამრაძე: „ლომჯარიას არჩევით „ოცნებამ“ მოიგო“

**6** „ბინა №37“ 2018 წლიდან ღვინის წარმოებას იწყებს

# სუსი: „ახმედ ჩატაევმა ბინაში თავი აიფეთქა“

**ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ 1 დეკემბერს სუს-ში სპეციალური ბრიფინგი ჩატარდა.**

ბრიფინგზე სუს-ის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა საზოგადოებას ბოლო ცნობები მიაწოდა.

– ამერიკელი კოლეგების დახმარებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით და ექსპერტიზით, მათ შორის დნმ-ის ანალიზით და თითის ანაბეჭდებით (დაქტილოსკოპიური კვლევით), დადგენილ იქნა, რომ ლიკვიდირებული პირებიდან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევია, – განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

მისი თქმით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს თან მათი ვინაობის მაიდენტიფიცირებელი არანაირი დოკუმენტი არ ჰქონიათ.

– აღნიშნული პირების იდენტიფიკაციის პროცესში ჩართულები არიან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები, – დააზუსტა გიორგობიანმა.



გამოძიების ფარგლებში დგინდება, თუ როგორ მოხვდნენ აღნიშნული ჯგუფის წევრები საქართველოში და ასევე დგინდება მათი შესაძლო კავშირი სხვა დანაშაულებრივ პირებთან.

## „ბინიდან არავინ გაქცეულა“

– სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო სპეციალური დამატებითი ღონისძიებების გატარება შესაძლო დანაშაულებრივი ჯგუფის გაუვნებელყოფის მიზნით. სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებულ იქნა 1 პირი, – აღინიშნა ბრიფინგზე.

სპეცოპერაციის საწყის ეტაპზე, რამდენიმე საათის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტი მათთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს დანებების თაობაზე. მოლაპარაკებების პარალელურად, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდა ადგილობრივი მცხოვრებლების ევაკუაცია კორპუსიდან და ასევე, მიმდებარე ტერიტორიიდან. მრავალსაათიანი და ინტენსიური ოპერაციის დროს, მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ შექმნია.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სამართალდამცავების შეთავაზებაზე, რომ დანებებულიყვნენ, უარი განაცხადეს, გახსნეს ცეცხლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ხელყუმბარები ისროლეს.

სპეცოპერაცია მიმდინარეობდა მჭიდროდ დასახლებულ გარემოში და ყველა კონკრეტული ნაბიჯი იგეგმებოდა უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვის გათვალისწინებით.

– 20-საათიანი სპეცოპერაციის შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებიდან 2 პირის ლიკვიდაცია განხორციელდა, ხოლო ბინაში მყოფმა ერთმა პირმა, ახმედ ჩატაევმა, თავი აიფეთქა. სამწუხაროდ, ერთი თანამშრომელი, ივანე გოლოშვილი ამ სპეცოპერაციის დროს დაგვეღუპა. დაიჭრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელი, – განაცხადა ნინო გიორგობიანმა.

მან უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ სპეცოპერაციის დროს აღნიშნული ბინიდან დანაშაულებრივი ჯგუფის ორმა წევრმა გაქცევა შეძლო.

გამოძიების ამ ეტაპზე, სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახური, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად მუშაობს შესაძლო საფრთხეების პრევენციაზე, რათა მოსახლეობის უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული.

– კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ გარდაცვლილი ივანე გოლოშვილის ოჯახს.

დაჭრილი სპეცრაზმელების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მადლობას ვუხდით ყველა იმ თანამშრომელს, სპეცრაზმელს და პოლიციელს, ვინც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვა ჩვენი მოქალაქეები.

მადლობას ვუხდით ჩვენს მოსახლეობას სპეცოპერაციის დროს გამოჩენილი მოთმინებისა და თანამშრომლობისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის მესამე ნაწილით, 323 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 328-ე მუხლით, – დასძინა ნინო გიორგობიანმა.

# იძიებს თუ არა შურს ხალიფატი

## ზაალ კასრელიშვილი: „ახმედ ჩატაევი საქართველოში შემოიპარა“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ 21-22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულთაგან ერთ-ერთი ახმედ ჩატაევია. სუსის ინფორმაციით, მან თავი აიფეთქა. ჩატაევი ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი იყო და მასზე საერთაშორისო თანამეგობრობამ ძებნა 2015 წელს გამოაცხადა.

საქართველოში შიშობენ, რომ ისლამური სახელმწიფო მის გამო შურს იძიებს. ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ამბობს, რომ ამ საქმიდან საქართველო უბრალოდ ვერ გამოძვრება. თუმცა, მისი თქმით, ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა მიზნით იყო ჩატაევი საქართველოში შემოსული.

### „გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩართვა ამ საქმეში რუსეთს ბევრ განზრახვაზე აალებინებს ხელს“

ვისი დახმარებით შემოვიდა ჩატაევი საქართველოში, რა მიზნები ჰქონდა მას, რა შემთხვევაში იძიებს ხალიფატი შურს, რის გარანტიას იძლევა გამოძიებაში გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩართვა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– ჩვენ ჯერ კიდევ სპეცოპერაციის დასრულებისთანავე ვამბობდით, რომ ეს იქნებოდა ჩატაევის ჯგუფი. არ გვეგონა, თუ თავად ახმედ ჩატაევი იქნებოდა აქ. ექსპერტიზით დადგინდა, რომ ლიკვიდირებულთა შორის ისიც იყო. ახლა ის უნდა დაადგინონ, როგორ შემოიპარა ის საქართველოში.

***– თქვენი აზრით, ის შემოიპარა?***

– რა თქმა უნდა, შემოიპარა.

***– რამდენად დასაჯერებელია ეს ვერსია, როგორ უნდა შემოპარულიყო ცალფეხა ადამიანი? საცალფეხო ბილიკებით ის ვერ ისარგებლებდა.***

– საქართველოში შემოპარვა მარტო საცალფეხო ბილიკებით არ შეიძლება. ის შესაძლოა მანქანით შემოვიდა. მას აქ ჰყავს თანამოაზრეები და შეიძლება ისინი დაეხმარნენ.

***– სად ჰყავდა თანამოაზრეები, პანკისში?***

– რატომ მარტო პანკისში. ქვემო ქართლსა და აჭარაშიც. დიდი ალბათობით, ის საქართველოში ან ქვემო ქართლის ან აჭარის მხრიდან შემოვიდა.

***– ვთქვათ, ამ ორი მიმართულებიდან ერთ-ერთი მიმართულებით შემოიპარა, გიჟი იყო, გარანტიების გარეშე ეცხოვრა თბილისში? ის ინტერპოლით იყო ძებნილი.***

– მას შესაძლოა ვიღაცამ მისცა გარანტიები, მაგრამ ამას სახელმწიფო არ გააკეთებდა. ამ საქმის გამოძიებაში ჩართულია ამერიკული მხარე, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ყველაფერი გაირკვევა. მას თუ ვინმემ მისცა გარანტიები, ამასაც გავიგებთ.

საინტერესო იქნება იმის დადგენაც, რა მიზნით შემოვიდა ის საქართველოში. ვფიქრობ, გამოძიება ამასაც გასცემს პასუხს.

***– თქვენი აზრით, რა მიზანი უნდა ჰქონოდა მას საქართველოში? ტერორისტული აქტების მოწყობას, სავარაუდოდ, არ აპირებდნენ, თუმცა ესეც არავინ იცის.***

– ყველაფერს გამოძიება დაადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩატაევი და მისი ჯგუფი საქართველოში იმიტომ შემოვიდნენ, რომ შემდეგ სხვაგან გადასულიყვნენ. მეორე ვერსია კი ის გვაქვს, რომ ისინი აპირებდნენ თავიანთი თანამებრძოლის გათავისუფლებას.

***– იმამ აიუფ ბორჩაშვილზე საუბრობთ, რომელიც 2015 წელს ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით დააკავეს?***

– დიახ, ბორჩაშვილზე მოგახსენებთ. გამორიცხული არაა, ჩატაევს მისი განთავისუფლება უნდოდა.

***– ჩატაევი იყო ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი. დღეს ბევრი საუბრობს, რომ მის გამო შეიძლება ხალიფატმა შური იძიოს. თქვენ რას იტყვით ამაზე?***

– ვიდრე შურისძიებაზე ვილაპარაკებდეთ, მოდით, ის გავარკვიოთ, ვის მიერ იყო ის შემოგზავნილი საქართველოში. ჩატაევი შესაძლოა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

***– ეს რამეს ცვლის?***

– ბევრ რამეს ცვლის. თუ დადგინდა, რომ ჩატაევი თავისი ინიციატივით იყო აქ შემოსული და კერძო საქმე ჰქონდა, მაშინ ნაკლები საფრთხე გვემუქრება. ამის თავიდან აცილება ჩვენს სპეცსამსახურებს იოლად შეუძლიათ.



თუ ის აქ ხალიფატის სარდლობის დავალების შესასრულებლად შემოვიდა, მაშინ ბევრად უფრო სერიოზულად იქნება საქმე.

***– გამოდის, რომ შურისძიება ორივე შემთხვევაში გარდაუვალია?***

– მოდით, ამას შურისძიებას ნუ დავარქმევთ. რაღაც გაუგებრობებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

***– თქვენ არაერთხელ თქვით, რომ რუსეთი საქართველოში რელიგიურ ნიადაგზე ცდილობს დაპირისპირების დაწყებას. ამ დაპირისპირების მიზეზი ჩატაევის ლიკვიდაცია ხომ არ გახდება?***

– რუსეთი ნებისმიერ საბაბს გამოიყენებს იმისთვის, რომ რელიგიურ ნიადაგზე საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყოს. ამ შემთხვევაში მას ეს არ გამოუვა. ამ გამოძიებაში ამერიკული მხარეა ჩართული, რაც რუსეთს მთელი რიგი განზრახვებისგან ხელს აალებინებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმესთან ერთად ლაფანყურის საქმის გამოძიებაც მოხდება.

***– ლაფანყურის საქმე გამოძიებულია და თაროზეა შემოდებული. თქვენ თავად ამბობდით, რომ მისი გასაჯაროება იმიტომ არ ხდება, რომ ამ საქმესთან რამდენიმე ქვეყნის ინტერესი იკვეთება.***

– ახლაც იგივეს ვიტყვი. ლაფანყურის საქმეში რამდენიმე ქვეყნის ინტერესები გამოიკვეთა. ასევეა ახლაც. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ორი საქმე გაერთიანდება და თავიდან მოხდება გამოძიება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე საქმეში ერთი და იგივე პირი – ახმედ ჩატაევი ფიგურირებს.

# „მათე მოტორსის“ დამფუძნებელ გელა ბარკალაიას 6 წელი და 10.000 ლარი მიესაჯა ქალის წამებისა და შანტაჟისთვის

დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრალდებულს, „მათე მოტორსის“ დამფუძნებელ გელა ბარკალაიას სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ამის შესახებ სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა ბრალდებულის მიმართ. მას ბრალად ედებოდა წამება, ე.ი. პირისათვის ისეთი პირობების შექმნა და ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციისა და აღიარების მიღება, პირის დაშინება, იძულება და დასჯა. საქმის არსებითად განხილვისას ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში, თუმცა დახურულ სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასებისა და ანალიზის შედეგად, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის, ასევე პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და გავრცელების ჩადენის ფაქტი.



სასჯელის სახედ და ზომად 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. მასვე, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 10.000 ლარის ოდენობით“, – წერია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

კომპანია „მათე მოტორსის“ მფლობელი გელა ბარკალაია 2017 წლის 4 მარტს დააკავეს. უცნობი ქალი „მათე მოტორსის“ მეპატრონეს წამებისა და შანტაჟისთვის უჩიოდა.

გელა ბარკალაია 2009 წელსაც დააკავეს. ბიზნესმენს რამდენიმე მანქანაც ჩამოართვეს. მას ქონება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ 2015 წლის 24 სექტემბერს მთავარმა პროკურატურამ დაუბრუნა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ ჩატარდა სპეცოპერაცია შს მინისტრად გახარიას დანიშვნიდან 2 დღეში?

## გია ხუხაშვილი: „ჩატაევის გარდა, სხვა ტერორისტებიც შეიძლება შემოსული იყვნენ საქართველოში“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ისნის სპეცოპერაციაზე საუბრობს.**

***– ბატონო გია, სუსის საგანგებო ბრიფინგიდან ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილი ნამდვილად ახმედ ჩატაევია. სპეცოპერაციასთან დაკავშირებით არსებულ კითხვებზე რამდენად მიიღეთ პასუხები, უფრო მეტ ინფორმაციას ელოდებით?***

– რასაკვირველია, საკმარისი არ არის ეს ინფორმაცია, მაგრამ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დაწყება სუსის, შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან, უკვე კარგია. ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა, თითქოს ახალი არაფერი გამიგია, მაგრამ რაღაც ტიპის არხი გაიხსნა. ამერიკის ელჩმა დასვა კითხვა, როგორ გადმოკვეთეს ამ ადამიანებმა საზღვარი.

***– მთავარი კითხვა სწორედ ეს არის?***

– ერთ-ერთი მთავარი კითხვა არის და აგიხსნით, რატომ: ასეთი დონის ტერორისტები, როგორიც ჩატაევია, გარკვეული გარანტიების გარეშე არ გადაადგილდებიან. საზღვარს მოადგეს რისკის ფასად, მერე განცხადება გამოაქვეყნოს და ბინა იქირაოს, ეს ხომ ძალიან არარეალისტურია. ამდენად, ფაქტია, რომ ამ ადამიანების ირგვლივ ადამიანების ფართო წრე იყო, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მათ გარანტიებს საზღვარზე, შემდეგ უკვე ქვეყნის შიგნით და აგროვებდნენ ალბათ გარკვეულ ინფორმაციას გარკვეული მიზნებით.

ამდენად, ეს საქმე გახსნილად ვერ ჩაითვლება, ლიკვიდაციით არ მთავრდება პრობლემა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მინიმუმ რამდენიმე ადამიანი ამ ყველაფრის თანამონაწილეა.

***– რა დონის თანამონაწილეობაზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– ზუსტად ეს არის გამოსაძიებელი. ყველაზე მძიმე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს იმ ადამიანს ან იმ ადამიანებს, ვინც ამაში იყო თანამონაწილე და ვინც გარანტად გამოდიოდა. გასაგებია, რომ ეს ადამიანი ვერ იქნებოდა ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი. თუმცა, მე პირდაპირ ხელისუფლებას არ ვადებ ხელს, როდესაც ამაზე ვსაუბრობ.

***– ვის შეიძლება ჩატაევისთვის გარანტიები მიეცა?***

– ამ კითხვას პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს, მაგრამ სანამ ამ კითხვაზე პასუხი არ გვექნება, ვერ გამოვრიცხავ, რომ ეს შეიძლება ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ყოფილიყო, რომელიც ამას რაღაც ფასად აკეთებდა. ტყუილად არ მიხსენებია ამერიკის ელჩი, სამწუხაროდ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს, ამიტომ ამერიკის ელჩი, როგორც ავტორიტეტი, გვჭირდება. ჩვენ თუ არ გვისმენენ, მას მაინც მოუსმინონ. ის სვამს კითხვას, როგორ შემოვიდნენ ეს ადამიანები ქვეყანაში? ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს.

***– შინაგან საქმეთა მინისტრი არ გამორიცხავს, რომ არალეგალური გზით შემოსულიყვნენ, ასევე ბესელია ამბობს, რომ საზღვრები კონტროლდება, მაგრამ თქმა, რომ ვერავინ შემოვა, შეუძლებელია. ეს რამდენად არის არგუმენტი?***

– ყველაფერი ხდება, 100%-იანი გარანტირება არაფრის არ შეიძლება, მაგრამ ჩემთვის ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ჩატაევი გორებით გადმოვიდა, მით უმეტეს, ცალი ფეხითა და ცალი ხელით, არ მჯერა, რომ კენწეროებით გადმოვიდა.

სპეცსამსახურები იმისთვის არიან, რომ გამოიძიონ და გვითხრან, ჩატაევმა ქალის ტანსაცმელში, ულვაშებ მიწებებულმა, გრიმით თუ ვიღაცის დახმარებით გადმოკვეთა საზღვარი. ჰყავდა თუ არა მას გარანტორი საქართველოში. შეიძლება ეს გარანტორი ჩატაევზე არანაკლებ სახიფათო ადამიანი აღმოჩნდეს.

ხელისუფლება იმისთვის კი არ არის, რომ „გამორიცხული არ არის“ გვითხრას, არამედ ხელისუფლებამ კონკრეტულად უნდა გვითხრას, როგორ შემოვიდნენ ქვეყანაში ეს პირები.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაც ცდილობდეს ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ გარკვეული ინტრიგის ხლართვას.

***– კონკრეტულად?***

– რატომ მოხდა ეს სპეცოპერაცია შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნიდან მეორე დღეს? ეს ქრონოლოგია სხვა ეჭვებსაც მიჩენს. ეს დაჯგუფება, როგორც გავიგეთ, კარგა ხნის დაკვირვების ქვეშ იყო და ორი დღის წინ არ შემოსულა.



„უნდა დადგინდეს, ვინ იყო ჩატაევის გარანტორი საქართველოში“

***– რა ეჭვებზე საუბრობთ?***

– შინაგან საქმეთა მინისტრმა ბევრი მაღალჩინოსანი გაათავისუფლა. ეს დამთხვევა შემთხვევითია თუ მიზანმიმართული, ესეც გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

თუმცა, ამ საკითხის დეტალურად გამოძიება არის პრინციპულად მნიშვნელოვანი არა მხოლოდ იმიტომ, რომ გავიგოთ, რა მოხდა, არამედ ზოგადად საფრთხის პრევენციის მიზნითაც. ასევე უმნიშვნელოვანესია საზღვრის დაცვის საკითხი და გეტყვით, რატომ:

სირიაში ახლა ისლამურ სახელმწიფოსთან საომარი ფაზა დასრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისლამური სახელმწიფოს სხვადასხვა დაჯგუფებები ახლა მეტასტაზებივით მოედებიან მთელ მსოფლიოს. თუმცა, ისინი შეეცდებიან, რომ სამშობლოში დაბრუნდნენ.

ისლამური სახელმწიფოს არმიაში რამდენიმე ათასი ადამიანი ჩრდილოეთ კავკასიიდან იბრძოდა. რუსეთში ასე პირდაპირ ვერ დაბრუნდებიან გასაგები მიზეზების გამო. რუსული სპეცსამსახურები მათზე სრულ ინფორმაციას ფლობენ.

***– შესაბამისად, საქართველოს დერეფნად გამოიყენებენ?***

– რა თქმა უნდა. ისინი შეეცდებიან, რომ ასეთი დერეფნები მოიპოვონ და თავი შეაფარონ. სამწუხაროდ, საქართველო ყველაზე ხელსაყრელი ქვეყანაა ამ მხრივ მათთვის. ამიტომ, ძალიან მაღალი რისკია, რომ ამ ადამიანების გარკვეული ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს. ჩატაევი, ასე თუ ისე, ვიცოდით, ვინ იყო, მაგრამ საერთოდ ჩვენთვის უცნობი პირები შეიძლება შემოვიდნენ ქვეყანაში. ეს არის ორმაგი საფრთხე: ერთი, ტერორიზმის საფრთხე და მეორე საფრთხე, რომელიც შეიძლება რუსეთიდან წამოვიდეს ამ ნიადაგზე, ამ მიზეზით. რუსეთმა შეიძლება ეს გამოიყენოს საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის მიზეზად.

ამიტომ, პირდაპირ რეკომენდაცია მექნება სპეცსამსახურებთან: უნდა გავიგოთ დაწვრილებით, ვინც იყვნენ ეს ადამიანები, რა კავშირები ჰქონდათ მათ და ვინ მფარველობდა მათ აქ. ასევე, ვინ შეიძლება ყოველდღიურად გადაადგილდებოდეს ჩვენს ტერიტორიაზე, რომლებსაც კავშირები ჰქონდათ მათთან.

რა უნდა გაკეთდეს ამისთვის: მიუხედავად ჩვენი მძიმე ურთიერთობისა რუსეთის სპეცსამსახურებთან, ჩვენმა სპეცსამსახურებმა აუცილებლად უნდა გამოითხოვონ ამ პირთა მონაცემთა ბაზა. ერთი, ამით თავს დავიცავთ და მეორე, ამ გზით თავს დავიცავთ სამომავლოდ რუსეთის ბრალდებისგან, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ტერორისტები მარტივად გადაადგილდებიან. რუსეთს კეთილი ნება უნდა ვაჩვენოთ, რომ მზად ვართ ტერორიზმის წინააღმდეგ თანამშრომლობისთვის.

ამ ეტაპზე ეს აუცილებლად გასაკეთებელია. ხვალ და ზეგ შეიძლება უკვე გვიან იყოს. ფაქტია, რომ ამ ადამიანებს უკვე დაწყებული აქვთ მოძრაობა. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ რაღაც რაოდენობა შემოსულიც კი იყოს.

შორენა მარსაგიშვილი

# რას ემსახურება საპატრიარქოს დელეგაციის რუსული და ამერიკული ვოიაჟები

## გოჩა მირცხულავა: „პატრიარქობისთვის მინიმუმ 3 კანდიდატი იბრძოლებს“

ქართველი მღვდელმთავრების ამერიკული ვოიაჟი საყოველთაო განხილვის საგანი გახდა. ამერიკამოვლილი მაღალი რანგის სასულიერო პირები სულ სხვა პოზიციებს აფიქსირებენ დასავლეთის მიმართ. არადა, ცოტა ხნის წინ, ზოგიერთი მათგანი დასავლეთს გარყვნილების ბუდედ მოიაზრებდა.

რატომ წავიდნენ მღვდელმთავრები ამერიკაში, არის თუ არა ეს ვოიაჟი რუსეთის საპატრიარქოს ქმედებების საპირწონე, რომელიც ქართულ ეკლესიაზე გავლენის მოპოვებას ცდილობს, როგორ წარიმართება პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– ამერიკაში მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ვიზიტს საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე, მეუფე შიო რამდენიმე დღე იმყოფებოდა მოსკოვში, საიდანაც 22 ნოემბერს ჩამოვიდა, მეორე დღეს კი ის პატრიარქმა მოსაყდრედ გამოაცხადა. მღვდელმთავრების ამერიკული ვოიაჟი მოსკოვურის საპირწონე ხომ არ არის?

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აშშ-ში ვიზიტი მოსაყდრის დასახელებამდე გაცილებით ადრე იყო დაგეგმილი. ვიდრე ამერიკაში ვიზიტზე ვისაუბრებდე, მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ბრიუსელში ვიზიტი მინდა გავიხსენო. ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ, სასულიერო პირებმა არაორდინალური განცხადებები გააკეთეს.

მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა აღნიშნეს, რომ მათ ამ ვიზიტამდე ნატოს მისწრაფებების შესახებ არ იცოდნენ, არ ჰქონდათ სწორი ინფორმაციები და სათანადო ხედვა. მაშინ ისიც ითქვა, რომ თურმე ევროპა ყოფილა სულ სხვანაირი.

სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მეტად დამაბნეველი იყო ეს განცხადებები. ამან კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რომ ეკლესიის წიაღში კარჩაკეტილობასთან გვაქვს საქმე, თუ გაუნათლებლობასთან არა.

***– თქვენ გჯერათ, რომ მათ მართლა არ იცოდნენ ნატოს შესახებ არაფერი? საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რა არის ნატო.***

– 21-ე საუკუნეში, როცა ინფორმაციის მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს, მღვდელმთავრების განცხადება გაკვირვებას იწვევს. სხვა თუ არაფერი, ბოლო წლების განმავლობაში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი საქართველოს სერიოზულად ეხმარებოდა.



„მიმდინარეობს მუშაობა მღვდლებთან და ეპისკოპოსებთან“

ამ ყველაფერს რომ ვერ დაინახავს ადამიანი, სანამ თავად არ ჩავა ნატოს შტაბ-ბინაში, ცოტა უცნაურია. მოდით, ცოტა უფრო გავართულებ და ვიტყვი, რომ ჩვენ ვსაუბრობთ იმ ინსტიტუტზე, რომელიც საქართველოში ძალიან მაღალი ნდობით სარგებლობს. ამ ადამიანებისთვის ასეთი განცხადებების გაკეთება ცოტა საჩოთირო და დამაკნინებელია.

მე ეკლესიაში ძალიან ბევრ პროგრესულად მოაზროვნე პირს ვიცნობ. მათთვის ნატო, ევროპა, ამერიკა და დასავლური ღირებულებები კარგად არის ცნობილი. ისინი მიესალმებიან იმ ქმედებებს, რასაც ნატო საქართველოსთან მიმართებაში წლების განმავლობაში ატარებდა.

ახლა დავუბრუნდები მღვდელმთავრების ამერიკაში ვიზიტს. იქ მათ საინტერესო განცხადებები გააკეთეს. ყველაზე საინტერესო იყო მეუფე იაკობის მეტამორფოზა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2013 წლიდან დღემდე ის სულ სხვანაირად წარმოაჩენდა საკუთარ პერსონას. ეს მეტამორფოზა, ჩემის აზრით, მის პოლიტიკურ ამბიციებს უკავშირდება.

***– რას გულისხმობთ პოლიტიკურ ამბიციებში?***

– მას ეკლესიაში პოლიტიკური ამბიციები აქვს. ყველას გვახსოვს, რომ 2013 წლის 17 მაისს ის იყო ტაბურეტკების აქციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. გვახსოვს ასევე მისი საკმაოდ მძიმედ მოსასმენი და მძიმედ გასააზრებელი განცხადებები. ამ განცხადებებს ის სხვადასხვა ფასეულობებთან მიმართებაში აკეთებდა.

ამ პირობებშიც კი აშშ-ში მის მიერ გაკეთებული განცხადებები არის პოზიტიური. თუმცა თუ დავუბრუნდებით ბრიუსელის ჭრილს, შესაძლოა, სხვა სურათი ვიხილოთ. ბრიუსელის ვიზიტის შემდეგაც გაკეთდა პოზიტიური განცხადებები, მაგრამ არ გამიგია, არ მომისმენია, არ წამიკითხავს ამავე ეპისკოპოსების განცხადებები და ქადაგებები მრევლისთვის იმის განსამარტავად, თუ რა ნახა ამ ხალხმა ბრიუსელში. მრევლისთვის არ განუმარტიათ არც ის, თუ რატომ შეეცვალათ ევროპაზე წარმოდგენები.

აქედან გამომდინარე მაინტერესებს, აშშ-ში სასულიერო პირების ვიზიტს რა პოლიტიკური გაგრძელება მოჰყვება საპატრიარქოს წიაღში. რამდენად მიიტანენ მოსახლეობამდე იმას, რაც ამერიკაში ნახეს და რასაც ამ ქვეყანაზე ფიქრობენ.

პირადად მე მეეჭვება, რომ ეპისკოპოსები ამერიკაში ნანახს თავიანთ ქადაგებებში ასახავენ. მეეჭვება, რომ მათ მრევლში ამერიკის პოპულარიზაცია მოახდინონ. არადა ქართულ ეკლესიას ოდითგანვე ჰქონდა საგანმანათლებლო ფუნქცია.

***– ბრიუსელიდან დაბრუნებულებმა არაფერი გააკეთეს ნატოს პოპულარიზაციისთვისო, ამბობთ. მაშინ არ არსებობდა პატრიარქის მოსაყდრე, რომელზეც ამბობენ, რომ რუსეთის საპატრიარქოს მხარდაჭერით სარგებლობს. იქნებ ამან აიძულოს მღვდელმთავრები, დასავლეთის პოპულარიზაციაზე იქადაგონ.***

– მოსაყდრის კონტექსტს რაც შეეხება, სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ ჩვენ ვიხილეთ მეუფე იაკობის პოლიტიკური მეტამორფოზა. ყველასთვის გასაგებია და იმაზე ზედმეტი საუბარი არაა საჭირო, რომ ციანიდის საქმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურანტი არის მეუფე იაკობი. ის საქმეში არ ფიგურირებს, მაგრამ ფიგურანტად თავისი განცხადებებიდან გამომდინარე იქცა.

საპატრიარქოდან გამოდიოდა ხმები, რომ სამომავლოდ პატრიარქობის ერთ-ერთი მსურველი მეუფე იაკობი იყო. ახლა ის თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ის თავს ვალდებულად რაცხს, რომ საკუთარი მისწრაფებების რეალიზებისთვის გააკეთოს ის განცხადებები, რომლებიც საზოგადოების ნაწილში მის მიმართ დამოკიდებულებას შეცვლის.

მხედველობაში მყავს საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მისი აგრესიის და მთელი რიგი ცივილიზებული პროცესებისადმი დამოკიდებულების გამო, მეუფე იაკობის მიმართ უნდობლობას იჩენდა. მას ამათ თვალში უნდა ქულების დაწერა.

***– მიაღწია ამერიკაში გაკეთებული განცხადებებით ამას?***

– მიაღწია. ამ განცხადებების გამო, სოციალურ ქსელში ბევრი ადამიანი აქებს მას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# გელა ნიკოლაიშვილი: „ნინო ლომჯარია უხილავმა ხელმა დანიშნა“

ნონა ცაბაძე

**მარიხუანას დეკრიმინალიზაციის, ევა გოცირიძის საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის და ახალი სახალხო დამცველის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.**

*— ბატონო გელა, საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებაზე სასჯელი გააუქმა. თუმცა გვესმის შეფასებები, რომ ამან შესაძლოა მარიხუანას მომხმარებელთა რიცხვი გაზარდოს. როგორია თქვენი შეფასებები?*

— საკმაოდ საფრთხილო თემაა და საფრთხილო საკითხია. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ მარიხუანის მოწევისთვის დღემდე ზედმეტად მკაცრი სასჯელი არსებობდა და პრინციპში არ არის ეს ცუდი გადაწყვეტილება. ოღონდ, როდესაც ვამბობ საფრთხილოა, ვითვალისწინებ იმას, რომ შეიძლება ამან პირველ პერიოდში ერთგვარი ბუმი გამოიწვიოს. ამიტომ დღეს განსაკუთრებით მართებთ ყურადღების კონცენტრაცია როგორც თვითონ მომხმარებლებს, ასევე იმ სამართალდამცველებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, გამოავლინონ ეს.

*— კონკრეტულად რას გულისხმობთ?*

— ის, რომ მარიხუანის მოხმარების გამო ადამიანი ციხეში აღარ მიდის, არ ნიშნავს, რომ იგი დასჯადი არ არის. ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მაინც ითვლება და აქედან გამომდინარე თუ ყურადღებით იქნებიან და ხელს არ მიუშვებენ სამართალდამცავი ორგანოები, მასობრივად რომ არ მოხდეს ასეთი მოხმარების ფაქტები და არ გამოვლინდეს, ეს იქნება წახალისება მომხმარებლებისთვის.

ამიტომ უნდა მოხდეს უფრო მეტი კონტროლი იმისთვის, რომ კი ბატონო, ციხეში არ მიჰყავთ ეს ადამიანი, მაგრამ დაჯარიმების ფაქტები უნდა იყოს მაქსიმალურად მიახლოებული რეალობასთან. ეს ორმხრივადაა კარგი.

*— რა თვალსაზრისით?*

— ერთი ის, რომ მათ ეცოდინებათ, რომ არ არის ისე, რომ მთლად დეკრიმინალიზაცია მოხდა და თავისუფლად შეიძლება მისი მოწევა, ისე როგორც ლუდს მიირთმევენ თავისუფლად და დაუსჯელად. ასე ნამდვილად ვერ იქნება. მეორე მხრივ, სტატისტიკის შექმნა შეიძლება, კონკრეტულად რა რაოდენობის მარიხუანის მომხარებელი ჰყავს დღეს საქართველოს და როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ მათთან მიმართებაში.

არანაკლები სასჯელია 500-1.000 ლარი და თუ ეს სისტემატიურ ხასიათს იღებს, საკმაოდ დაეტყობა ეს მომხმარებლის ჯიბეს. ფაქტის წინაშე უნდა დააყენონ სამართალდამცავებმა



მომხმარებლები. ის, რომ ამისთვის ციხე აღარ არის, ეს კარგია.

*— საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ევა გოცირიძის კანდიდატურას უნდა უყაროს კენჭი პარლამენტმა. ოპოზიცია აპროტესტებს გოცირიძის დანიშვნას საკონსტიტუციო სასამართლოში. რას იტყვით თქვენ, როგორც უფლებადამცველი?*

— იცით, როგორ არის, მე გაორებული გრძნობა მაქვს. ერთი მხრივ, მე ევა გოცირიძის კომპეტენციაში ეჭვი არ მეპარება, წამიკითხავს მისი ნაშრომები, ვიცნობ მის ბიოგრაფიას ამ სფეროში მოღვაწეობის. საკმაოდ მაღალი კომპეტენციის ადამიანია და პროფესიონალი. თუმცა, მეორე მხრივ, არის ის მომენტები, როდესაც მან პრინციპულობის თვალსაზრისით მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა თავი, როდესაც იგი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. არსებობს ამის რიგი გადაწყვეტილებები.

ამიტომ ახლა რა გადასძალავს მასში — პროფესიონალიზმი თუ სამოქალაქო საზოგადოებისთვის მიუღებელი პრინციპულობის ნაკლებობა — ეს არის საფიქრებელი.

*— მას პრინციპულობა აკლია?*

— თუ ადამიანი მართლა პროფესიონალია, მისთვის არ უნდა არსებობდეს პოლიტიკური მოტივები, არც რაღაცა მიკერძოებები და მე იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს პროფესიონალიზმი გადასძალავს. რადგან მისი არჩევა, ისევე, როგორც სახალხო დამცველის არჩევა, რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, უკვე გადაწყვეტილია.

*— თქვენ სახალხო დამცველი ახსენეთ და საზოგადოების ნაწილში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ამ თანამდებობაზე ნინო ლომჯარიას დანიშვნას. თქვენი შეფასებები როგორია?*

— თვითონ ის ფაქტი, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი გაიზიარა ხელისუფლებამ, დადებითი მომენტია, მაგრამ ჩემთვის უარყოფითი მომენტი აქ არის ის, რომ ნინო ლომჯარია დანიშნულია უხილავი ხელის მიერ.

*— რას გულისხმობთ?*

— როგორც გახსოვთ, თავიდან სამი კანდიდატი სახელდებოდა სამოქალაქო სექტორის მიერ: ვახუშტი მენაბდე, ზვიად ქორიძე და ანა ნაცვლიშვილი. იქ სოფო ჯაფარიძის და სოფო ხორგუანის კანდიდატურებიც იყო, რომელთაც განიხილავდა თვითონ ხელისუფლება. მე მაშინვე ვთქვი, რომ დასახელებული კანდიდატებიდან შესაძლოა ვიღაც მოგვწონდეს, ვიღაც არა, პირადად მე უპირატესობას ანა ნაცვლიშვილს ვანიჭებდი, მაგრამ გამოვთქვი ვარაუდი, უფრო მოსალოდნელია, ვიღაც ახალი გამოჩნდეს, ვისაც ასევე უპრობლემოდ დანიშნავენმეთქი.

*— და რატომ გაგიჩნდათ ასეთი ეჭვები?*

— ეს ცუდი ეჭვი გამიჩნდა იმიტომ, რომ ზუსტად ასე იყო 5 წლის წინ, როდესაც 4-5 კანდიდატი განიხილებოდა სახალხო დამცველის პოსტზე და თვეების მანძილზე გრძელდებოდა ეს, შეხვედრებს მართავდნენ ეს კანდიდატები საზოგადოების სხვადასხვა ნაწილთან და უცებ, ბოლო მომენტში, გამოჩნდა უჩა ნანუაშვილის კანდიდატურა, რომელიც ამ 4-5 კაცში საერთოდ არ მოიაზრებოდა და ეგრევე დანიშნეს. სწორედ ამან გამიჩინა ეს განცდა, რომ ეს უხილავი ხელი იგივეს იზამდა ახლაც.

*— და ვინ არის ეს უხილავი ხელი? ვის გულისხმობთ, ამერიკის საელჩოს?*

— არ ვიცი. სავარაუდოდ, უფრო ის, ან სხვა. ამ სამ კაცს, რომელიც სამოქალაქო სექტორმა წარმოადგინა, დაემატა მეოთხე, თითქოს ნინო ლომჯარიაც იყო ამ კანდიდატებში, არადა თავიდან არ იყო. სწორედ ამან გამიჩინა განცდა, რომ ნაკარნახევი იყო, მოდით, ესეც წამოაყენეთ და ეს უნდა გავიდეს. როდესაც წინა არჩევნები იყო სახალხო დამცველის, ამ პროცესში უშუალოდ ვმონაწილეობდი, ერთ-ერთი კანდიდატი ვიყავი და უჩა ნანუაშვილის გამოჩენის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენელი პირდაპირ მეუბნებოდა, რომ უკვე გადაწყვეტილია, ნანუაშვილი იქნება სახალხო დამცველი და იქნებ შენ მოადგილეობას დასჯერდეო. მე არ მჯეროდა, არ ვიღებდი სერიოზულად, რომ ასეთი რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ასე მოხდა.

აქედან გამომდინარე სამწუხარო ის არის, რომ ხელისუფლება და პარლამენტი თვითონ არ წყვეტს ასეთ საპატიო თანამდებობაზე პიროვნების დანიშვნას. არა არჩევა მოხდა სახალხო დამცველის, არამედ დანიშვნა.

*— რა მოლოდინები გაქვთ, როგორი სახალხო დამცველი იქნება ნინო ლომჯარია?*

— ეს პოსტი დიდ შესაძლებლობებს იძლევა. არა მხოლოდ საპასუხისმგებლოა ეს თანამდებობა, არამედ სარკესავით არის. ხელისგულზეა მთელი მისი საქმიანობა საზოგადოების წინაშე. თუ ეყოფა გონიერება, პრინციპულობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა, მე ვფიქრობ, რომ ყველა შანსი აქვს, იყოს კარგი სახალხო დამცველი. ხოლო თუ იქნა გადახრები და მიკერძოებულობა გარკვეული სეგმენტის მიმართულებით, მაშინ, რა თქმა უნდა, არ იქნება საზოგადოებისთვის მისაღები.

# რას ემსახურება საპატრიარქოს დელეგაციის რუსული და ამერიკული ვოიაჟები

დასაწყისი მე-3 გვერდზე

*— იმავე სოციალურ ქსელში მას ამავე განცხადებების გამო ბევრი ლანძღავს კიდევაც.*

— „ნეტარ არიან მორწმუნენი“, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მეუფე იაკობი ასე შეიცვალა.

*— ქორეპისკოპოსს ხალხის რისხვა მარტო ამიტომ არ დაატყდა, რომ მისი არ სჯერათ. განსაკუთრებით გამწარებულები ჩანან რუსეთუმეები.*

— მესმის. აქ ორი მომენტია. თუ მეუფე იაკობმა ფუნდამენტალურად გაიაზრა ის, რასაც აცხადებს, ძალიან კარგია. არის მეორე მომენტი, მისი განცხადებები ხომ არ არის ქვების სროლა იმ ბოსტანში, რომლის მეპატრონეც, მხატვრულად რომ ვთქვათ, მეუფე შიოა, რომელმაც, თავის მხრივ, ძალიან სერიოზული შანსი გაუშვა ხელიდან.

მას მოსაყდრის რანგში, პირველივე ქადაგებაზე მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით თავისი პოზიციები უნდა დაეფიქსირებინა. მას ადამიანებისთვის უნდა მიეცა განმარტება, თუ რას ფიქრობს ქვეყნის განვითარებასა და მის პოლიტიკურ კურსზე.

მეუფე შიომ ეს შანსი ხელიდან გაუშვა, ამით ისარგებლა მეუფე იაკობმა და მან მიზნობრივად, სწორ ადგილას დაარტყა იმ ადამიანს, რომელიც იმ ადგილზე აღმოჩნდა, სადაც ის საკუთარ თავს მოიაზრებდა.

*— ამ განცხადებებით რას მიაღწევს მეუფე იაკობი? ამ პროამერიკული განცხადებებით ამერიკის მხარდაჭერის მოპოვება თუ უნდა, ეს რას შეცვლის? ჩვენს ეკლესიაზე ამერიკული გავლენები არ ვრცელდება, აქ რუსული გავლენაა ძალიან ძლიერი.*

— ამერიკას ჩვენს ეკლესიაზე გავლენები არ აქვს. არც მისი განცხადებები იყო ამერიკისთვის გაკეთებული. მეუფე იაკობმა ეს განცხადებები ქართული საზოგადოებისთვის გააკეთა, თუმცა დასავლეთის თვალში პროგრესულ ადამიანად წარმოჩენა ნამდვილად არ არის ცუდი, მით უმეტეს, როცა იმ ინსტიტუტის სახელით ლაპარაკობ, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ დიდი ნდობით სარგებლობს.

აქედან გამომდინარე, მან ძალიან სწორი გათვლა გააკეთა, ამერიკელების და ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში. ის პოზიტიურად წარმოჩნდა. მიუხედავად იმისა, თავად რამდენად სჯერა ამ განცხადებების.

აქვე მეუფე გრიგოლის განცხადებაზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. მან დააზუსტა ის განცხადება, რაც ამერიკაში გამგზავრებამდე გააკეთა. მაშინ მეუფე გრიგოლმა ეჭვი შეიტანა, თუ რამდენად თავისუფალი იყო პატრიარქი, როდესაც მოსაყდრის შესახებ იღებდა გადაწყვეტილებას.

მან თქვა, რომ არც მას და არც სხვებს მოსაყდრის მიმართ პრეტენზიები არ აქვთ, თუმცა ამბობს, რომ პატრიარქთან კითხვები აქვს. თუ აქედან ამოვალთ, საინტერესოა, რატომ თქვა, რომ მისი განცხადებების არასწორი ინტერპრეტირება მოხდა? საზოგადოებამ მისი განცხადება გაიგო ისე, როგორც მან თქვა.

ამ ფონზე მე ვფიქრობ, რომ ამერიკაში მყოფი დელეგაცია არის სწორედ ის გუნდი, რომლისგანაც მეუფე შიოს პატრიარქობის არჩევისას მხარდაჭერა არ ექნება.

*— ანუ სერიოზული ბრძოლა იქნება საპატრიარქოში.*

— რა თქმა უნდა. აქ მხოლოდ ღირებულებებზე არ არის საუბარი. თუმცა მეუფე შიოს მოწინააღმდეგე გუნდს პროდასავლური განცხადებების გაკეთების პრივილეგიას თავად მეუფე შიო აძლევს, რომელიც თავად არაფერს არ ლაპარაკობს არც თავის კურსზე, არც ქვეყნის განვითარების ტენდენციებზე. არ საუბრობს ადამიანების უფლებებსა და უმცირესობების დაცვაზე.

შესაბამისად, ის რებუსი, რომელიც თავის გარშემო თავად შექმნა, ნამდვილად არ თამაშობს მის სასარგებლოდ. ეს გაურკვევლობა კიდევ უფრო ამყარებს ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ მან არ იცის, თუ რა უნდა თქვას ამ ეტაპზე.

ის ვერ ახერხებს სათქმელის თქმას ისე, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური. გაითვალისწინეთ ისიც, რომ 4 დეკემბერს მოსკოვში იქნება საპატრიარქოს სხვა დელეგაცია, რომელსაც კიდევ ერთი ქორეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე უხელმძღვანელებს. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის განცხადებები, რომელთაც ამ დელეგაციის წევრები გააკეთებენ. მოსკოვში სალაპარაკო თემა იქნება აფხაზეთი და არა მხოლოდ აფხაზეთი.

*— აქამდე პოლიტიკოსები იყოფოდნენ პროდასავლურებად და პრორუსულებად. ახლა ალბათ ამ ნიშნით სასულიერო პირების კლასიფიკაციაც მოხდება.*

— პოლიტიკოსებს თავი დავანებოთ, ჩვენ პროქართული ეპისკოპოსების სიჭარბე არა გვაქვს. ჩემთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ პავლე ასე უცბად იქცა სავლედ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ მეუფე იაკობი 2013 წლის 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით განმარტებებს ამერიკაში გააკეთებდა.

*— ეპისკოპოსების ამერიკულ ვოიაჟს რუსეთი რით უპასუხებს? მათგან საპასუხო სვლა რა იქნება?*

— მათგან საპასუხო სვლა უკვე არის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეპისკოპოსებთან და მღვდლებთან საკმაოდ ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. მათ პატრიარქის მოსაყდრის გვერდში დგომისკენ მოუწოდებენ.

ამ სამუშაოების ჩასატარებლად საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების ოფიცრები, ბუნებრივია, არ ჩამოვიდოდნენ. ამას აკეთებენ ადამიანები, რომლებიც საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებიან იმ პოზიციის დაცვაში, რომ მოსაყდრე არის პატრიარქის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურა და ჩვენ პატრიარქს უნდა დავუჭიროთ მხარი. ამ პროცესში პატრიარქით მანიპულირებაც ჩართეს.

*— ზემოთ საპატრიარქოში მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ვისაუბრეთ. პატრიარქი ჩაერევა ამ დაპირისპირებაში?*

— გავრცელებული ინფორმაციით, პატრიარქი, შესაძლოა, 25 დეკემბერს გადადგეს. მისი გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ღრმა იქნება დაპირისპირება. დაპირისპირება სერიოზულ სახეს თუ მიიღებს, ის არ გადადგება და პირობითად ორხელისუფლებიანობა გაგრძელდება სიტუაციის დასარეგულირებლად.

ჩემი აზრით, საპატრიარქოში დაპირისპირება გაღრმავდება. პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა მხოლოდ პროდასავლურების და პრორუსულების დაპირისპირება არ იქნება. არის კიდევ რამდენიმე ფრთა, რომელსაც სურვილი აქვს, რომ საკუთარი კანდიდატი იხილოს საქართველოს პატრიარქად.

*— თქვენი აზრით, რამდენი კანდიდატი იბრძოლებს პატრიარქობისთვის?*

— მინიმუმ 3 კანდიდატი იქნება.

*— ისევ საზოგადოების რეაქციას დავუბრუნდები, იმათი კარგად მესმის, ვისაც მეუფე იაკობის პროდასავლურობის არ სჯერა, მაგრამ რატომ არის ასეთი აგრესია იმის გამო, რომ სასულიერო პირებმა ამერიკაზე დადებითად ისაუბრეს? ზოგიერთმა ეს ლამის უფლის გმობასაც კი შეადარა.*

— როდესაც რუსეთის ქმედებებზე ვსაუბრობდი, მხედველობაში ესეც მქონდა. ადამიანების ზომბირება რელიგიის უკიდურესობებით და მათი რადიკალიზმში გადაგდება არის ჩვენი უდიდესი უბედურება.

ეკლესიას მუდმივად ჰქონდა საგანმანათლებლო ფუნქცია, რაც დღეს ყველა მღვდელმთავარმა დაივიწყა. ამის შედეგია ის, რომ ზოგიერთი ადამიანი ტანსაც კი არ იბანს, თუ ამბიონიდან არ გადმოსძახა რომელიმე მღვდელმა.

ამ განცხადებების არ უნდა გვეშინოდეს. ამ ეპისკოპოსებს თუ მართლა სჯერათ, რასაც დასავლეთსა და ამერიკაზე ამბობენ, მათ აუცილებლად უნდა დაიწყონ მუშაობა საზოგადოებასთან.

მე მოვუწოდებ საპატრიარქოს, რომ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას დაუბრუნდნენ და შობა აღინიშნოს 25 დეკემბერს. საქართველომ არაერთხელ აღნიშნა შობა ახალი სტილით. ეს გადაწყვეტილება განჩინებით მხოლოდ იმიტომ შეაჩერეს, რომ საზოგადოება არ იყო სათანადოდ ინფორმირებული. დაუბრუნდნენ ამ გადაწყვეტილებას და დაადასტურონ, რომ მიდიან სწორი გზით და ემიჯნებიან რუსეთის ეკლესიას. ეს იქნება ყველაზე პროქართული საქმე.

# მოსწავლეთა შორის ჩხუბს ხორავას ქუჩაზე მსხვერპლი მოჰყვა



1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მოსწავლეთა შორის ჩხუბი მოხდა.

ჩხუბს 16 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა, მეორე 16 წლის მოზარდი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შსს-მ მომხდართან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში მიმდინარე წლის 1 დეკემბერს, 14:10 საათზე შევიდა შეტყობინება, რომ თბილისში, ხორავას ქუჩაზე, არასრულწლოვნებს შორის ჩხუბი მოხდა.

მიღებულ შეტყობინებაზე პოლიციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა ოპერატიულად, 14:19 საათზე მივიდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით დაჭრეს 2001 წელს დაბადებული დ.ს., რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი და 2001 წელს დაბადებული ლ.დ., რომელიც მიყენებული ჭრილობის შედეგად, საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება თბილისის პოლიციის დეპარტამენტმა საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაიწყო. შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

პოლიციამ უკვე ამოიღო როგორც 51-ე საჯარო სკოლაში დამონტაჟებული, ასევე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სათვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელთა შესწავლაც მიმდინარეობს.“

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# აფხაზეთში ნარკოტიკების გამავრცელებლებისთვის სასჯელი მკაცრდება

## საოკუპაციო რეჟიმი რესპუბლიკას ვერ მართავს?

მარიამ მჭედლიშვილი

**ნარკოდანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობაზე ოკუპირებულ აფხაზეთში წინა წლებში უამრავი განცხადება გაკეთებულა, თუმცა, ამას კონკრეტული ნაბიჯები არ მოჰყოლია.**



აღმოჩნდა, რომ ნარკოტიკების გამავრცელებლებს სასამართლო ხშირად იმაზე ნაკლებ პატიმრობას უსჯის, ვიდრე მომხმარებლებს ან ბოტასების ქურდს.

ამაზე ყურადღება გაამახვილეს აფხაზეთის პარლამენტის სპეციალური კომისიის სხდომაზე. კომისია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის გასაკონტროლებლად შეიქმნა.

სხდომის მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მაღალჩინოსნებმა მოიწონეს კომისიის ინიციატივა ნარკოტიკების გამავრცელებლებისათვის სასჯელის გამკაცრების შესახებ.

ახლანდელი კანონმდებლობით, ნარკოდილერებს მაქსიმუმ, სამ წელიწადს უსჯიან.

სხდომაზე დაისვა ნარკოტიკების გამავრცელებლებისა და მომხმარებლების გამიჯვნის საკითხი. ამასთან, ითქვა, რომ მკაცრად უნდა ისჯებოდეს ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი პირი ავტომობილის საჭესთან.

კანონპროექტის ერთი ვარიანტის შესაბამისად, ნარკოდილერებს 25-წლიანი პატიმრობა მიესჯებათ, მომხმარებლებს – 5-წლიანი.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა და ნარკომანიის დიდი მასშტაბები ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელიც ამ დღეებში გამოკითხულ სოხუმელებს აღელვებთ.

გამოკითხვის მონაწილეები ზამთრის პირზე კრიმინალთან ერთად, უმძიმეს სოციალურ ყოფასაც უჩივიან.

გამოკითხვამ დაადასტურა, რომ სოხუმელები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ძალიან პოლიტიზირებულები იყვნენ, დღეს სოციალ-ეკონომიკურ პრობლემებზე გადაერთვნენ. მათ პოლიტიკური საკითხები ნაკლებად აინტერესებთ.

დამნაშავეობის ზრდა აფხაზეთში ზაფხულშიც საგრძნობი იყო. ამის გამო იქ ფაქტობრივად ჩაიშალა ტურისტული სეზონი. ანალიტიკოსებმა ეს აფხაზეთში ყველა სფეროში შექმნილ მწვავე კრიზისს და საყოველთაო განუკითხაობას დაუკავშირეს.

ბოლო გამოკითხვის თანახმად, ნარკომანიის გარდა, სოხუმელებისთვის პრობლემაა საგზაო წესრიგი და ავტოავარიების დიდი რაოდენობა.

აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი ნადეჟდა ვენედიქტოვა:

– აფხაზეთის მთავარი პრობლემა ისაა, რომ არ მუშაობს კანონი. ვერ შევძელით თავგასულობის აღკვეთა გზებზე. იცვლებიან პრეზიდენტები და შინაგან საქმეთა მინისტრები, ხალხი კი გზებზე ისევ იღუპება. ცუდად მუშაობს სახელისუფლებო ვერტიკალი. პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის ბრძანებულებები და განკარგულებები ან არ სრულდება, ან სრულდება ნაწილობრივ და დაგვიანებით. გაზრდილია ქონებრივი უთანასწორობა. მომატებულია ღარიბების რიცხვი. წელს 30%-ით გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დახმარებისათვის საქველმოქმედო ორგანიზაციებს მიმართავენ. ხალხს იქ მედიკამენტების რეცეპტებიც კი მიაქვს, იმიტომ, რომ მათი საყიდელი ფული არ გააჩნია.

მრავალშვილიანი დედა მადინა:

– აფხაზი ვარ, მაგრამ მეუღლე არ მყავს აფხაზი. ფონდმა „აზხარამ" დახმარებაზე უარი მითხრა. არ გამომიყო 100 ათასი რუბლი იმის გამო, რომ ჩემი შვილები ტიტულოვან ერს არ მიეკუთვნებიან.

აფხაზეთის რეჟიმის ოპოზიცია ერთ-ერთ მთავარ პრობლემას იმაში ხედავს, რომ პასუხს არ აგებენ დამნაშავე ჩინოსნები.

კანონის დარღვევას ოპოზიცია პრეზიდენტ ხაჯიმბასაც ედავება. არსებობს მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ პრეზიდენტის ფონდიდან თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა. ამაზე არ მოუხდენია რეაგირება აფხაზეთის პროკურატურას.

# მოსწავლეთა შორის ჩხუბს ხორავას ქუჩაზე მსხვერპლი მოჰყვა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელის, ავთანდილ იმედაძის განცხადებით, ხორავას ქუჩიდან მიყვანილ 16 წლის მოზარდს სადისტური დაზიანებები აქვს მიყენებული როგორც გულ-მკერდის, ისე მუცლის არეში.

– პაციენტი არის 16 წლის. ის შემოვიდა კლინიკაში სადისტური დაზიანებებით გულ-მკერდის და მუცლის არეში. დაზიანებულია მაგისტრალური გულ-სისხლძარღვები, ბარძაყის არტერია, ვენა – პრაქტიკულად ნული წნევით შევიყვანეთ საოპერაციოში, დაფიქსირდა გულის გაჩერებაც, თუმცა ახლა აღდგენილია. მიმდინარეობს მთელი სამედიცინო პერსონალის ბრძოლა ამ ბავშვის გადასარჩენად.

სტაბილიზაციას მივაღწიეთ. წნევა წამოვიდა და იმედები გაგვიჩნდა, რომ გადარჩება. ახლა ძალიან დიდია შანსი, რომ გადარჩეს. სასიცოცხლო მაჩვენებლები სწორდება. ბრძოლაშია ჩართული ყველა განყოფილება, მთელი ქირურგიული ჯგუფი, საოპერაციო უნდა ნახოთ. ჭრილობა არის ბლაგვი საგნით მიყენებული, – განაცხადა რესპუბლიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელმა, ავთანდილ იმედაძემ ტელეკომპანია „პირველის" ეთერში.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა სოფრომაძე.

მისი განცხადებით, პაციენტი ექიმებს 24-საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ აყვანილი.

რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებოდნენ დაჭრილი მოზარდის ოჯახის წევრები და მისი თანაკლასელები. თანაკლასელები აცხადებდნენ, რომ ის კონფლიქტური არ ყოფილა.

# პეტრე მამრაძე: „ლომჯარიას არჩევით „ოცნებამ" მოიგო"

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან**



***– ბატონო პეტრე, სახალხო დამცველის არჩევის პროცესს თვალს თუ ადევნებდით? მოგეხსენებათ, ლომჯარია იყო პარლამენტის უმრავლესობის კანდიდატურა და მხარიც დაუჭირა ამ პოსტზე. გიორგი ფოფხაძის კანდიდატურაც იყო. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ზოგადად, დღევანდელი პარლამენტის უმრავლესობისაგან ისეთ გადაწყვეტილებას არ ველოდები, რომელიც იქნება ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული.

***– რატომ? პირიქით არ უნდა იყოს?***

– მე ვიცნობ ამ ადამიანებს. მათი დიდი ნაწილისთვის მთავარია საკუთარი კარიერა, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ხშირ შემთხვევაში, ბიზნესი. პარლამენტში ძალიან ბევრი ოფიციალური მილიონერია. სავარაუდოდ, იქნებიან არაოფიციალური მილიონერებიც. ასეთ დროს, პრაქტიკულად, მათ შორის არ მეგულება ისეთი იდეალისტი, რომელსაც ურჩევნია, ქვეყანას ჰყავდეს მმართველი დაჯგუფებისაგან დამოუკიდებელი ომბუდსმენი და მმართველ დაჯგუფებას მწვავედ აკრიტიკებდეს.

***– ამბობთ, პარლამენტის უმრავლესობისთვის მთავარია საკუთარი კარიერა, საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ბიზნესიო. ეს რაში უშლით ხელს, ნორმალურ კანდიდატურას მისცენ ხმა? ლომჯარიასთვის ხმა რომ არ მიეცათ, ფოფხაძე აერჩიათ, რა დაუშავდებოდათ?***

– მე ზოგადად ვმსჯელობ. წარმოიდგინეთ, უმრავლესობა დაკომპლექტებულია ისეთი ადამიანებით, ვისაც აქვს მყარი პრინციპები, იდეალები, იდეები და მზად არიან, თავისი პრინციპებისთვის თუნდაც მსხვერპლი გაიღონ. ასეთ დროს, ასეთმა ადამიანებმა შეიძლება თქვან, აი, ჭეშმარიტად ძლიერი პიროვნება, რომელიც იქნება რა ომბუდსმენი, არც ხელისუფლებას დაემორჩილება, არც არავის შეუშინდება და პირუთვნელად აღასრულებს თავის მოვალეობას, თუნდაც ხელისუფლებას, ჩვენს მთავრობას მწვავედ გააკრიტიკებს.

***– გაკრიტიკებაზე რომ ამახვილებთ ყურადღებას, უმრავლესობის წევრმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ლომჯარია იმიტომ აირჩიეს, ხელისუფლების მაკრიტიკებელი სახალხო დამცველი გვჭირდებაო.***

– საინტერესოა. როდესაც მმართველი გუნდისაგან ნამდვილად დამოუკიდებელი უჩა ნანუაშვილი ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს აქვეყნებდა და ადეკვატურ შეფასებას აძლევდა, ეს მმართველ დაჯგუფებას აღიზიანებდა. მათგან მსმენია ისეთი განცხადებები, რომელიც არ ეკადრებოდათ.

***– თუმცა, ნანუაშვილის კრიტიკაზე ზოგიერთმა განაცხადა, რომ ეს იყო დემოკრატიის გამოვლინება – ასეთი კრიტიკით საქართველოს უცხოელების თვალში კარგად ჩანდა, რომ აქ სახალხო დამცველს შეუძლია ხელისუფლება აკრიტიკოს.***

– ეს თქვეს მას შემდეგ, რაც დაინახეს, რომ თავი მოეჭრათ..

***– რით მოეჭრათ თავი?***

– ნაცვლად იმისა, მიეღოთ კრიტიკა, ეთქვათ, ფაქტებს გავარკვევთ, იმ შემთხვევაში თუ სახალხო დამცველის ინფორმაცია დასაბუთდა, მოვახდენთ რეაგირებასო, მოიქცნენ ისე, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება თავის დროზე, როცა სოზარ სუბარს აბრალებდა მიტინგის ორგანიზებას და ნაცვლად იმისა, მიეღო მისი კრიტიკა, მაშინდელი ომბუდსმენის, სუბარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებზე მოეხდინა რეაგირება, საპირისპირო კრიტიკით პასუხობდა და პოლიტიზებას აბრალებდა.

აქაც, გარკვეულ მომენტში, როდესაც უცხოელებმაც ამოიღეს ხმა, შეახსენეს ხელისუფლებას, რომ ომბუდსმენი დამოუკიდებელი უნდა იყოს, მათაც და სხვებმაც თქვეს, რა თქმა უნდა, ომბუდსმენი ხელისუფლებას უნდა აკრიტიკებდესო.

***– სახალხო დამცველის პოსტზე ორი კანდიდატურა იყო წარდგენილი და ლომჯარია დაამტკიცეს. რა, ლომჯარია ხელისუფლებას არ გააკრიტიკებს?***

– ნამდვილად არ ვიცი. არც ერთს არ ვიცნობ. არ დავიწყებ იმაზე მსჯელობას, რომელი იქნებოდა უკეთესი, ლომჯარია თუ ფოფხაძე, თუმცა, ვიცნობ რა, რას წარმოადგენს მთლიანობაში უმრავლესობა და უმრავლესობის უმრავლესობა, ვიცი, რომ ამ ადამიანებს ბევრად ურჩევნიათ, ჰყავდეთ მორჩილი ომბუდსმენი, ვიდრე – დამოუკიდებელი.

***– ზოგადად, ვფიქრობ, ყველა ხელისუფლებას უნდა, ნაკლები მაკრიტიკებელი ჰყავდეს. ესენი რატომ უნდა იყვნენ გამორჩეული?***

– ორი რამის გამო არიან გამორჩეული – დასავლეთში პარლამენტის წევრებს შორის არიან ისეთები, რომლებსაც კიდევაც უნდათ, ომბუდსმენი აკრიტიკებდეთ. დასავლეთში საკუთარი გუნდის უპირველესი კრიტიკოსები თვითონ პარლამენტის წევრები არიან, რადგან თავის თავს უფრთხილდებიან. ეს რომ არ გააკეთონ, რეიტინგს დაკარგავენ და ხალხი აღარ აირჩევს. მეორე – დასავლეთში ძალიან ძლიერია სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი და ამ წიაღიდან მოდის ხოლმე სახალხო დამცველის კანდიდატურა. გულში რაც უნდა ჰქონდეს, პარლამენტის ამა თუ იმ წევრს, მან იცის, წინააღმდეგი რომ წავიდეს, ისევ და ისევ თავის თავს ზიანს მიაყენებს. შეიძლება არ მოსწონდეს, მაგრამ იცის, რომ სჯობს ხმა მისცეს, ვიდრე მთელ ერსა და საზოგადოებას თავი აჩვენოს ადამიანად, რომელიც დამოუკიდებელი ომბუდსმენის წინააღმდეგია. ეს არის სხვაობა.

***– ერთი მომენტია აღსანიშნავი, ფეისბუქზე ზოგი წერდა, რომ „ოცნებამ" ლომჯარიას არჩევით გადააბიჯა ყველაფერს. კაცმა რომ თქვას, რა ნორმას გადააბიჯა ოცნებამ ლომჯარიას არჩევით?***

– არც კი წარმომიდგენია.

***– იმ დროს, როდესაც ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ, ლომჯარია ჩუმად იყო, ახლა კი ასეთ პიროვნებას ოცნებამ მხარი დაუჭირაო. ასეთი პოსტები წავიკითხე ფეისბუქში.***

– კონკრეტულად, ლომჯარიაზე ვერაფერს ვიტყვი, ნამდვილად არ ვადევნებდი თვალ-ყურს, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სააკაშვილის დროს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების ძალიან დიდი ნაწილი ხმასაც არ იღებდა ორმაგი შიშის გამო. ერთი, იმის შიშით, რომ გაუსწორდებოდნენ – სააკაშვილის რეპრესიულ აპარატს – მერაბიშვილსა და ადეიშვილს, მრავალი ბერკეტი ჰქონდათ. ჩემთვის ცნობილია ფაქტები, როდესაც ცნობად სახეებს კი არ კიდებდნენ ხელს, არამედ პირდაპირ მათი ოჯახის წევრებზე (ძმებსა და სხვებზე) გადიოდნენ და თუ ჰქონდათ დიდი თუ მცირე ბიზნესი, მათ ატერორებდნენ.

მეორე – არასამთავრობოები ხმას არ იღებდნენ, რადგან გრანტების დაკარგვის ეშინოდათ. სააკაშვილის ხელისუფლება, კოლექტიური ბოკერიები და სხვები უცხოელებთან ძალიან მჭიდრო კავშირში იყვნენ და მკაცრად აკონტროლებდნენ, გრანტს ვის მისცემდნენ და ვის – არა? მათ გარეშე არასამთავრობო სექტორი დაფინანსებას ვერ ღებულობდა. ეს შემდეგ ამერიკელმა პოლიტოლოგებმაც კი აღნიშნეს.

***– ახლა ბოკერიამ და მისმა ჯგუფმა პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ ნინო ლომჯარიას ხმა არ მისცეს. ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– მაშინ ხმას რომ ვერ იღებდნენ, ამა თუ იმ შიშის გამო, სააკაშვილის დროს ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევებზე (მაშინ, როცა ამაზე უკვე დასავლეთიც წერდა. ევროპის საბჭოში, მათ შორის, თომას ჰამერბერგი და სხვები თავის ანგარიშებში აღნიშნავდნენ მასობრივ დარღვევებზე, წამებაზე ციხეებში, უდანაშაულობის პრეზუმპციის არ არსებობაზე საქართველოში, ესენი კიდევ, პრაქტიკულად, არაფერს, დუმდნენ), ხელისუფლება რომ შეიცვალა...

***– მაშინ გახდნენ მაკრიტიკებლები.***

– ისევ ვერ ბედავდნენ სააკაშვილის კრიტიკას. მაშინ რომ არაფერს ამბობდნენ და ახლა ეკრიტიკებინათ სააკაშვილი, თვალშისაცემი იქნებოდა. ამიტომ ახლანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებენ. ერთი მხრივ, ეს კარგია, ხელისუფლებას ვიღაც ხომ უნდა აკრიტიკებდეს, ვისაც შეუძლია ფაქტების შეგროვება, შესწავლა და შეფასება.

***– პარლამენტის სხდომაზე ომბუდსმენობის ერთ-ერთმა კანდიდატმა გიორგი ფოფხაძემ შეახსენა უმრავლესობას ის დამსახურებები, რაც მას გააჩნია სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იქ მსხდომ პარლამენტის წევრებს პირდაპირ უთხრა, რომ მათი საქმეები სწორედ მან გადასცა ევროსასამართლოს, მან მიაწოდა საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტები ევროსტრუქტურებს. ამაზე ადამიანები წერდნენ, რომ კადრებს დამსახურების მიხედვით არ არჩევენო.***

– სულაც არ მიკვირს, ბოკერიამ და სხვებმა ლომჯარიას ხმა რომ არ მისცეს.

***– რატომ?***

– მათ ხმა რომ მიეცათ, ერთგვარი ლუსტრაცია ხომ იქნებოდა. იტყოდნენ, მათი იყო და მათ მომხრედ დარჩა, აგერ ხმას აძლევენო.

***– ნაცმოძრაობამ ხმა მისცა.***

– ამ მხრივ ისინი იყოფიან. ბოკერიები უფრო ფრთხილად მოიქცნენ. იცოდნენ, საკმარისი ხმები იყო ლომჯარიას ასარჩევად და თავის თავს გაუფრთხილდნენ. ფოფხაძეს დიდ პატივს ვცემ, როგორც ჟურნალისტს, ბევრი გააკეთა, იმ მძიმე წლებში ინფორმაციას გვაწვდიდა, სხვადასხვა ღონისძიებას ესწრებოდა, მაგრამ ლომჯარია იურისტია, ფოფხაძე ჟურნალისტი, როგორ შეაფასებს, არ ვიცი.

***– პარლამენტის ზოგიერთი წევრი ღირებულებებზე ამახვილებდა ყურადღებას. ფოფხაძე იმ ღირებულებების ადამიანია, რომელიც ამ პოსტზე დანიშნული ადამიანისთვისაა აუცილებელიო.***

– მეც ამ აზრს ვიზიარებ. ამ ადამიანმა საქმით დაამტკიცა, რომ ადამიანის უფლებები მისთვის ღირებულია და საჭიროა მისი დაცვა.

***– გიორგი ფოფხაძემ განაცხადა, ლომჯარიას სახალხო დამცველად არჩევა, ცუდად შემოუტრიალდება „ოცნებასო". როგორ შეიძლება შემოუტრიალდეს? ალბათ, ლომჯარია ოცნების ხელისუფლებას უფრო მეტად გააკრიტიკებს.***

– შეიძლება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს კარგი იქნება. ახლა ლომჯარიას არჩევით „ოცნებამ" მოიგო – აი, გვაკრიტიკებდა და გვაკრიტიკებს, ჩვენ კი სწორედ ასეთი გვინდაო.

# „2007 წელს „ლალიძის წყლების“ ძველი ტერიტორია სახელმწიფომ გაყიდა“

„ლალიძის წყლების“ ძველი ტერიტორია 2007 წელს სახელმწიფომ გაყიდა“, — ამის შესახებ „კომერსანტს“ მიტროფანე ლალიძის შვილთაშვილმა თინათინ ლალიძემ პრემიერ-მინისტრისა და თბილისის მერის მიერ გამოთქმულ ინიციატივაზე კომენტირებისას განუცხადა. კერძოდ, გიორგი კვირიკაშვილმა „ლალიძის წყლების“ ყოფილი შენობის გამოსყიდვის სურვილი გამოთქვა, ხოლო კახა კალაძემ ამ საკითხზე პრემიერს თანხმობა განუცხადა.



როგორც თინათინ ლალიძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, მათი ინფორმაციით რუსთაველის გამზირზე მდებარე „ლალიძის წყლების“ ფართი ეკონომიკის სამინისტრომ გაყიდა. მისივე თქმით, მიუხედავად მრავალი მცდელობისა, საკუთრება ამ დრომდე ვერ დაიბრუნეს.

— ეს ადგილი მუდმივად სახელმწიფოს მფლობელობაში იყო, ჩვენ წლების განმავლობაში ვითხოვდით, რომ შეგვესყიდა და სახელმწიფოს აღნიშნული ტერიტორია ჩვენთვის გადმოეცა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში საქმე სასამართლომდე მივიდა, თუმცა მათი მხრიდან მხოლოდ სიტყვიერი დაპირებები ისმოდა. ლალიძის წყლების ყოფილი შენობა წარსულში მოტყუებით გაიყიდა.

ლალიძის წყლების ძველი ტერიტორია ჩვენ არ გაგვიყიდია, რადგან ის წლების განმავლობაში ჩვენ საკუთრებაში აღარ იყო. ეს ადგილი მიტროფანე ლალიძეს კომუნისტების მმართველობის პერიოდში ჩამოართვეს და მას შემდგომ სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხებოდა, — განაცხადა ლალიძემ.

რაც შეეხება პრემიერისა და მერის გუშინდელ განცხადებას, თინათინ ლალიძე აცხადებს, რომ სახელმწიფოსგან შემდგომი ნაბიჯების გადადგმას დაელოდებიან. მისივე თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ამჟამად ხალხის მოტყუება ხდება.

— ეს ყველაფერი ჩვენც გუშინ გავიგეთ და სახელმწიფოს მხრიდან მომდევნო ნაბიჯებს დაველოდებით. რაც შეეხება ტერიტორიაზე განთავსებულ ამჟამინდელ ობიექტს, ვთვლი, რომ ეს ამ კომპანიის მხრიდან ხალხის მოტყუებაა და ისინი შეცდომაში შეჰყავთ. ხალხს ჰგონია, რომ ეს სივრცე კვლავ რეალური ლალიძის წყლებია, — აღნიშნა თინათინ ლალიძემ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი კვირიკაშვილმა და კახა კალაძემ „ლალიძის წყლების“ ყოფილი შენობის გამოსყიდვის სურვილი გამოთქვეს.

— ვისურვებდი, რომ „ლალიძის წყლები“ და ის სახაჭაპურე, რომელიც დაკარგა რუსთაველის გამზირმა, მინდა, ქალაქის მერს, ჩვენს კახის ვუთხრა, იქნებ რაღაცნაირად მოვახერხოთ, რომ, რა თქმა უნდა, ბიზნესის უფლებების სრული დაცვით, გამოვისყიდოთ ეს ადგილი და ასევე განვაახლოთ. ეს არის ძალიან ბევრი თბილისელის სურვილი და, რა თქმა უნდა, არა ამ მასშტაბით, მაგრამ ისიც შეიძლება გახდეს მიმზიდველი ტურისტებისთვის.

იმ ადამიანებისთვის კი, ვისაც ახსოვს ეს ადგილი და განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს ლალიძის წყლებთან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

დედაქალაქის მერის განცხადებით, რუსთაველის გამზირზე კიდევ ერთი ობიექტის — ლალიძის წყლების გახსნასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის დავალებას იღებს, რომლის განსახორციელებლადაც ყველაფერს გააკეთებს.

— ვიღებ ბატონი პრემიერის დავალებას ლალიძის წყლებთან დაკავშირებით. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ღირსშესანიშნაობა დედაქალაქს დავუბრუნოთ. ამისთვის ნამდვილად ყველაფერს გავაკეთებ.

მოხარული ვარ, რომ ჩვენს დედაქალაქში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება. ზუსტად ასეთი შენობა-ნაგებობებით თბილისი ძალიან მალე გახდება სიცოცხლით სავსე ქალაქი. დედაქალაქის მერიისა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური თანადგომა იქნება, რომ ხელი შევუწყოთ ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

# „ბინა №37“ 2018 წლიდან ღვინის წარმოებას იწყებს



— მიმაჩნია, რომ პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, — ამის შესახებ „კომერსანტს“ 2016 წელს საოჯახო ტიპის რესტორნის „ბინა №37-ის დამფუძნებელმა ზურაბ ნატროშვილმა განუცხადა.

როგორც ბიზნესმენი აცხადებს, 2018 წლისთვის „ბინა №37“-ის სახელწოდებით რქაწითელის, მწვანე კახურის, საფერავის და ციცქა ცოლიკოურის ჯიშის ღვინოს ჩამოასხამს.

— ჩვენი ბიზნესი სტაბილურად ვითარდება და წინ მივიწევთ. ქართული ტრადიციული სამზარეულოს გარდა, საავტორო სამზარეულო შემოგვაქვს, რომელიც ამ კვირიდან ჩაეშვება. აღნიშნულ სამზარეულოს სხვადასხვა ჯიშის ღვინოს შევუხამეთ, სადაც ჩვენ ღვინოსთან ერთად სხვადასხვა კომპანიებიც იქნება წარმოდგენილი. ყოველ ხუთშაბათს სტუმრებს ამ სერვისს შევთავაზებთ. გარდა ამისა, მომავალი წლიდან ღვინის წარმოებასაც ვიწყებთ, — განაცხადა ნატროშვილმა.

„ბინა №37“-ის დამფუძნებელი ქვეყანაში სარესტორნო ბიზნესის განვითარებაზეც საუბრობს. როგორც ნატროშვილი აცხადებს, ამ სეგმენტის განვითარება რთულია და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

— ქვეყანაში სარესტორნო ბიზნესის განვითარება ერთმნიშვნელოვნად რთულია. რა თქმა უნდა, პროფესიონალი კადრების პრობლემა დგას. მეტი აკადემიური განათლება და პრაქტიკული უნარ-ჩვევებია საჭირო. ჩვენ ამ მხრივ დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართ. ამ მიმართულებით მეტი პროფესიული სასწავლებელი და პრაქტიკული გამოცდილებაა საჭირო. ასევე პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებსაც გამოვყოფდი, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ადამიანს საქმისადმი მეტი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს, — აღნიშნა ზურაბ ნატროშვილმა.

რესტორნის დამფუძნებლის თქმით, „ჩვენ უკვე დღგ-ს გადამხდელები ვართ, თუმცა მიმაჩნია, რომ 100 ათასიანი ზღვარი ადეკვატური არ არის. რეინვესტირებას ვახორციელებ, რადგან ეს ბიზნესის განვითარებას ეხმარება. სტარტაპი რომ ბიზნესად იქცეს, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება“ — განაცხადა ნატროშვილმა.

# „მოსახლეობის კეთილდღეობა რომ გაიზარდოს, ეკონომიკის ზრდის ორნიშნა მაჩვენებელი უნდა გვქონდეს“



2017 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა საპროგნოზო მაჩვენებელზე მეტად იზრდება. ოქტომბერში კი მშპ 5,7%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ნაკლებად აისახება, ქვეყნის მოსახლეობის 6% გადახდისუუნაროა. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად რეალურად ასახავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული პროცენტული მაჩვენებლები იმ სოციალურ ფონს, რომელიც ქვეყანაში არსებობს. ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტის ირაკლი მაკალათიას განცხადებით, ეკონომიკური ზრდის ტემპი ძალიან დაბალია იმისთვის, რომ მოქალაქეებმა ეს საკუთარ ჯიბეზე მოკლე პერიოდში იგრძნონ.

— იანვრიდან გვაქვს ეკონომიკური მაჩვენებლის შედარებით მაღალი ზრდა, თუმცა მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრდის ეს ტემპი ჯერ ვერ აისახება. საერთაშორისოდ მიჩნეულია, რომ ეკონომიკური ზრდა მოკლევადიან პერიოდში ვერ იძლევა სწრაფ ეფექტს, შედეგის დასანახად უნდა გავიდეს 5-10 წელი.

რაც შეეხება ჩვენს ეკონომიკურ ზრდას, მაღალი ზრდა არ არის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინა წლებთან შედარებით უკეთესია, მაგრამ ძალიან დაბალი მაჩვენებელია, განსაკუთრებით ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის. გერმანიისთვის, საფრანგეთისთვის და ასეთი ტიპის ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელიც კარგია, რადგან მთლიანი რესურსები რაც აქვს ქვეყანას, უკვე ბრუნვაში აქვთ გაშვებული. საქართველოში, სადაც მთელი რიგი რესურსები ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია, მაჩვენებელი გასაუმჯობესებელია. მით უმეტეს, ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომ ორნიშნა ზრდაზე გავიდეთ და შემდეგ უკვე მოსახლეობაც იგრძნობს ეკონომიკურ ეფექტს.

ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო ექსპორტის ზრდა. ექსპორტი გაიზარდა რუსეთში, სადაც გაგვაქვს ალკოჰოლური სასმელები და ფეროშენადნობი პროდუქცია. ამ დარგებში წარმოების გაზრდა ვერ აისახება მოსახლეობაზე. რამდენი ყურძენი და სპილენძი უნდა გავიტანოთ? ისევ საბჭოთა კავშირში ვართ — ღვინოს და მინერალურ წყლებს ვერ გავცდით. მხოლოდ ღვინით და მინერალური წყლებით გაზრდილი ექსპორტი და შემდეგ ეს ასახული მთლიან შიდა პროდუქტში, ვერანაირ ეკონომიკურ ეფექტს ვერ მოგვცემს, — განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორის ვახტანგ ჭარაიას განცხადებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ეკონომიკურ კეთილდღეობას არ ნიშნავს.

— ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი საკმაოდ პოზიტიურია, თუმცა ეკონომიკური ზრდა პროცენტებში ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ რეალურად ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა გაიზარდა. შესაძლოა, ეკონომიკური ზრდა თუნდაც მაღალი ფასების ხარჯზე იქნას მიღწეული, რაც ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად გვაქვს. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან ერთად საკმაოდ მაღალია ინფლაციის მაჩვენებელი, რაც მოსახლეობის ჯიბეზე პირდაპირ ურტყამს. ხოლო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მოსახლეობაზე აისახება არა იმავე წელს, არამედ პერსპექტივაში, რამდენიმე წლის შემდეგ. ეკონომიკური ზრდით ჩვენ ვაფიქსირებთ, რომ ქვეყანაში გაიზარდა წარმოება ან ნაწარმოები პროდუქციის ფასები, ან შემოვიდა უფრო მეტი ინვესტიცია, ან გაიზარდა წმინდა ექსპორტი — მსგავსი ფაქტორებით შეიძლება იქნას მიღწეული ეკონომიკური ზრდის უკეთესი მაჩვენებელი, თუმცა ეს ყველაფერი მოსახლეობაზე არ აისახება იმავე წელს. ჩვენ ახლა ეკონომიკური ზრდის დაბალ მაჩვენებელს უფრო ვიმკით, რომელიც გვქონდა რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე დღევანდელ მაღალი ზრდის მაჩვენებელს. ეს მოსახლეობაზე ვერ აისახებოდა ვერც ერთ ქვეყანაში, ამას სჭირდება გარკვეული დრო. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ სამწუხაროდ, ინფლაცია ნამდვილად აწუხებს საქართველოს მოსახლეობას და შემოსავალი, რაც მათ აქვთ, საკმაოდ სუსტია იმასთან შედარებით, რა ტემპითაც ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება, — განაცხადა „კომერსანტთან“ ვახტანგ ჭარაიამ.

# „საქართველოს კომერციული ბანკები მომგებიანობით ევროპის და აზიის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა“




საქართველოს კომერციული ბანკები მომგებიანობით ევროპის და აზიის კონტინენტის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა, — ამის შესახებ ფინანსისტი მიხეილ დუნდუა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

— 1. მეტი დაზუსტებისათვის: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, სადეპოზიტო-საბანკო სისტემებს შორის კაპიტალუკუგების (ROE) მაჩვენებლის მიხედვით საქართველო ევრაზიაში ჩამორჩება მხოლოდ ჩინეთის ჯუჯა პროვინცია მაკაოს (რომელიც ცალკე სახელმწიფო არც არის) — ჩვენთან ROE არის 22.9%-ი, ხოლო მაკაოს პროვინციაშიROE არის 23.1%; ღ ǫ-ს (უკუგება აქტივებზე) მიხედვით კი საქართველო ჩამორჩება მხოლოდ ერთ აზიურ ქვეყანას. ეს არის ევრაზიის კონტინენტის მიღმა, ინდოეთის ოკეანეში არსებული სამხრეთაზიურ სახელმწიფო მალდივი. ჩვენთანROA არის 3.1%-ი, მალდივის კუნძულზე კი 3.5%.

2017 წლის 10 თვეში (იანვარ-ოქტომბერი):

2. ფიზიკური პირების დაკრედიტება ეროვნულ ვალუტაში გაიზარდა 1 მილიარდ 720 ლარით და უცხოურ ვალუტაში შემცირდა მხოლოდ 80 მლნ დოლარით.

3. სამეწარმეო სექტორის დაკრედიტება ლარში გაიზარდა მხოლოდ 409 მლნ ლარით, უცხოურ ვალუტაში კი 8 მლნ დოლარით.

4. ავტომობილების სუფთა იმპორტმა 10 თვეში $200 მლნ დოლარს გადააჭარბა და კვლავინდებურად მაღალია. შედარებისათვის, 2011-2012-2013 წლებში ეს მაჩვენებელი წელიწადში საშუალოდ $47 მლნ იყო. ავტომობილების მოხმარების ზრდა კვლავინდებურად საცალო სესხებით არის სტიმულირებული. და ეს ერთ-ერთი ეპიზოდური მაგალითია იმისა, თუ როგორ მოქმედებს თვითდინებაზე მიშვებული საცალო დაკრედიტება ქვეყნიდან სავალუტო რესურსების გადინებაზე და საინვესტიციო დანაზოგების შემცირებაზე.

5. ბოლო 34 თვეში, 2 წელსა და 10 თვეში საბანკო სექტორის წმინდა მოგება 1 მილიარდ 885 მლნ ლარს აჭარბებს, რაც ყველა (!!!) დანარჩენი წინა წლების ჯამურ მაჩვენებელს 240 მილიონით აღემატება.

6. საბანკო სექტორის 10 თვის წმინდა მოგებამ წელს 669 მლნ ლარს გადააჭარბა, რაც 259 მლნ დოლარის ეკვივალენტია. შედარებისათვის, 2016 წლის წლიური წმინდა მოგება, სარეკორდო, 679 მლნ ლარი იყო, ანუ 257 მლნ დოლარი.

7. უნდა შევასრულოთ სავალუტო ფონდის რეკომენდაცია, სესხის მომსახურება/შემოსავალთან ლიმიტი უნდა დაწესდეს მხოლოდ შინამეურნეობებისათვის გასაცემ ყველა იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხზე.

8. სესხის მომსახურება, ანუ სესხის დასაფარად ყოველთვიურად შესატანი თანხა უნდა იყოს მსესხებლის შემოსავლის 30%-ზე დაბალი, უცხოურ ვალუტაში კი 20%-ზე დაბალი.

9. კომერციულმა ბანკებმა არ უნდა მიაქციონ ზედმეტი ყურადღება გირაოს უზრუნველყოფას, შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემა კი სამუდამოდ უნდა აიკრძალოს.

10. 2014 წელს სავალუტო ფონდი შეშფოთებას გამოხატავდა, როცა მიუთითებდა, რომ საბანკო სესხის ამღები პირების ერთი მესამედი თავისი შემოსავლის ნახევარზე მეტს ბანკის ვალის მომსახურებისთვის იხდისო და მოუწოდებდა ეროვნულ ბანკს ლიმიტების დაწესებისკენ. დღეს ეს მაჩვენებელ გაცილებით, გაცილებით მაღალი იქნება.

11. უნდა წახალისდეს ბიზნესსესხები, ანუ გირაოს უზრუნველყოფაზე უფრო მეტად ყურადღება უნდა მიექცეს სესხის დასამტკიცებლად წარდგენილ ბიზნესპროექტის სამომავლო შემოსავლიანობის მაჩვენებლებს. ეს საკითხის სავალუტო ფონდის რეკომენდაციის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ არის დასარეგულირებელი.

# პირველი არხის ახალი შენობა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე აშენდება



პირველ არხს ახალი შენობის ასაშენებლად პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე არსებული მიწის ფართობი გადაეცემა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ და მენეჯმენტმა ეკონომიკის სამინისტროს მიმართეს თხოვნით, რომ ახალი შენობის ასაშენებლად მიწა გამოეყო.

ეკონომიკის სამინისტრომ პასუხად პირველ არხს პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე დაახლოებით ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი შესთავაზა. ეკონომიკის სამინისტროს შეთავაზებას სამეურვეო საბჭოს 9 წევრიდან შვიდი დაეთანხმა, ხოლო ორმა თავი შეიკავა.

პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე პირველი არხის შენობა დაახლოებით სამ წელიწადში აშენდება იმ პროექტით, რომელიც კონკურსის შედეგად შეირჩა.

პირველი არხი კოსტავას ქუჩაზე არსებული ქონების გასხვისების შედეგად მიღებულ თანხას გამოიყენებს ახალი შენობისთვის და ტექნიკური გადაიარაღებისთვის.

— მივიღებთ ახალ, ულტრათანამედროვე შენობას, ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილს, ავცდებით დიდ ხარჯებს, — განაცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა გია ნიჟარაძემ პირველ არხთან საუბრისას.

## კასპში მდებარე სალოცავი მძიმე დღეშია

კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე თავკავთის წმინდა გიორგის ტაძარი მძიმე დღეშია.

ინფორმაციას, დეკანოზი ილია ჭილლაძე ავრცელებს. მამაო ეტაპობრივად აქვეყნებს იმ ძეგლების ფოტოებს, რომლებიც მძიმე მდგომარეობაშია და მათ დროული დახმარება ესაჭიროებათ:

— თავკავთის წმიდა გიორგის ტაძარი, კასპის მუნიციპალიტეტი. ცნობილი სალოცავი, სამწუხაროდ, მძიმე დღეშია. ფოტო ბესო ჩიქვინიძისა.

## განახლებულ თეატრალურ უნივერსიტეტში კედელი დააზიანეს

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სარემონტო სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დასრულდა. ჩატარებული სამუშაოების ფარგლებში აღდგა თეატრალური უნივერსიტეტის შენობის მთავარი შესასვლელის კიბის უჯრედების საფეხურები და ბაქნების დაზიანებული ადგილები, უკანა ფასადი, ეზოს შესასვლელები, სრულად გარემონტდა შენობის ინტერიერი და სასწავლო აუდიტორიები. რესტავრირდა რუსთაველის თეატრის მე-3 დონეზე მდებარე აკაკი ხორავას სახელობის აუდიტორიის თანდართული ორიენტალისტური მოხატულობა. უნივერსიტეტის სასწავლო სცენა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, ასევე, გარემონტდა მაყურებელთა დარბაზი. მთლიანად გამოიცვალა ელექტროგაყვანილობა, გათბობისა და გაგრილების სისტემები, დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, გამაგრდა სართულებშორისი გადახურვა, ტექნიკურად გაიმართა შენობაზე დადგმული კოშკები, სარკმლის კონსტრუქციები და სველი წერტილები.




როგორც ჩანს, განახლებული შენობა მიუღებელი აღმოჩნდა უცნობი პირისთვის, რომელმაც თეატრალური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მესამე სართულზე კედელი დააზიანა.

ვანდალური აქტის ფოტო ინტერნეტში თეატრალურის თვითმმართველობამ გაავრცელა:

— მთელი დღე ვფიქრობდი, დამედო თუ არა ეს პოსტი... გადავწყვიტე... უბრალოდ დავსვამ კითხვას — რატომ?!... ჩვენი უნივერსიტეტის I კორპუსი, III სართული...

## ციცინო კობიაშვილს უკრაინაში ორი ჯილდო მიანიჭეს




რეჟისორ ციცინო კობიაშვილს უკრაინაში ორი ჯილდო მიანიჭეს.

რეჟისორი წლებია უკრაინულ თეატრალურ დასებთან თანამშრომლობს და იქ სპექტაკლებს დგამს. მის მიერ დადგმული „ხანუმა“ დღემდე ანშლაგებით მიმდინარეობს.

რეჟისორმა ჯილდო სოროჩინცის ბაზრობაზე მიიღო და ქართული დიასპორის სრულუფლებიანი წევრიც გახდა.

ინფორმაცია ციცინო კობიაშვილმა თავად გაავრცელა:

— ქართული დიასპორის სრულუფლებიანი წევრი ვარ და სოროჩინცის ბაზრობაზეც დამაჯილდოვეს უკრაინის კულტურაში შეტანილი წვლილისთვის.

# გიორგი კალანდია: „არც ერთ ქართველ მონარქზე არ დაწერილა იმდენი მსოფლიო პრესაში, რამდენიც მეფე ერეკლეზე“



მეფე ერეკლეს დაბადების დღეს ისტორიკოსი გიორგი კალანდია გამოეხმაურა:

— არ მინდა ამ სოციალისტური წარსულითა თუ თანამედროვე პოლიტიკით გაჯერებულ საქართველოში დაგვავიწყდეს ერეკლე მეფის დაბადების დღე! იმ პატარა კახისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს შეალია, 78 წლისა წავიდა ამა სოფლიდან თან „წარიტანა იმდენი ჭრილობა, რამდენი წლისაც გარდაიცვალა“.

უკანასკნელ გზაზე სულ რამდენიმე ქართველმა გააცილა, ეპიდემიით შეშინებულ ქვეყანაში ერეკლეს ჭირისუფლობისათვის ბევრს ვაჟკაცობა არ ეყო, მეფის ცხედარი მტკვრის პირას მიუტანიათ, იქვე ნაპირზე დაუსვენებიათ, ეკლესიიდან ორი თუ სამი ბერი გამოსულა და ცხედარი დასაკრძალად წაუღიათ! ასე უხმაუროდ მიაბარეს მიწას „პატარა კახი“ და მას შემდეგ „სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია!“

ერეკლე — კაცი, რომელმაც ყმაწვილკაცობიდანვე იკისრა დიდი ტვირთი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სამ ვეშაპს შორის მისი კრავივით პატარა ქვეყანა არ გაჭყლეტილიყო, ნამდვილად მოახერხა, ბევრი გულისტკივილის, მარცხის და დამცირების ფასად. აკი ამბობდა კიდეც: „დამლალა ამდენმა წაჯექ უკუჯექობამო“, დაიღალა, მაგრამ სამშობლოსათვის ხმალი ქარქაშში არასოდეს ჩაუგია, წერა და დიპლომატია არასოდეს შეუჩერებია.

არც ერთ ქართველ მონარქზე არ დაწერილა იმდენი მსოფლიო პრესაში, რამდენიც მეფე ერეკლეზე, ინგლისური გაზეთების პირველ გვერდებზე „პრინცი ჰერაკლიუსი“ აღფრთოვანებისა და ზოგჯერ გადამეტებული ხოტბის საგნად იქცა! ევროპაში მისმა პიროვნებამ ბევრ ლეგენდას, სენსაციურ ცნობას, ტყუილსა თუ მართალს დაუდო საფუძველი, თუმცა ამ დიდმა ხმაურმა და აურზაურმა ქართლ-კახეთის ბრწყინვალე ხელმწიფე ევროპული რომანტიკის თავისებურ საბურველში გახვია!

მისი დაბადებიდან თითქმის 300 წლის შემდეგ, უფრო ზუსტად 297, მერგო პატივი საქართველოსათვის ეს უცნობი კორესპონდენციები ირლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მენახა, სამშობლოში ჩამომეტანა და „ქართუ“ ფონდის დახმარებით წიგნად გამომეცა. სასიგნალო ეგზემპლარები ხელთა მაქვს, არაერთხელ ვთქვი, რომ საუცხოო გამოვიდა. ამ ჯერ კიდევ გამოუცემელმა წიგნმა ზოგი ვერ შემდგარი „ისტორიკოსი“ ისე გააღიზიანა, რომ კრიტიკა და ლანძღვა დამიწყეს, თუმცა ამ შრომამ ისეთი სიამოვნება მომანიჭა, რომ ეს წკავწკავი არად ჩამესმის, გამოვიდა ისეთი წიგნი, როგორც ერეკლესთანა ბრწყინვალე მონარქს ეკადრებოდა!

ამ ჩემს სტატუსს 1755 წელს ლონდონში გამოქვეყნებული ერთი საგაზეთო ცნობით დავამთავრებ:

„თუ იმ ადამიანებს ვენდობით, ვინც იგი ნახა და გაიცნო, ის აღმოსავლეთის ყველაზე გამოცდილი პრინცია. ასაკით 27 წლისა, გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს. უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია!

მისი სიმაღლე საკმაოზე მეტია, სხეული კარგად ჩამოსხმული, სახის წყობა მიმზიდველი, მისი მანერები და ტანსაცმელი უბრალოა, თუმცა მთლიანობაში ეს პიროვნება ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას საკუთარი სასახლის ღირსეულ პრინცად და არმიის შესანიშნავ გენერლად აღიქვამ.

მე ჰერაკლიუსის ხასიათის შესახებ მხოლოდ სიმართლეს ვამბობ და რა უნდა იყოს სხვა მისგან მოსალოდნელი, პრინცისაგან, რომელმაც საკუთარ თავში ამდენი ბრწყინვალე თვისება გააერთიანა, რომელიც ძლევამოსილად ფლობს საქართველოს და სპარსეთის სომხეთის ორ დიდებულ სამეფოს, ვისაც გააჩნია ყველაზე დიდი უპირატესობა, იყოს აღმოსავლეთის უმამაცესი ერების მთავარსარდალი, იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი პრინცისა და ქრისტიანული რწმენის დასაცავად დაუფიქრებლად გაწირავს თავს.

## ქეთი დოლიძე კინომსახიობთა თეატრში მისი სპექტაკლების თამაშის წინააღმდეგია



მას შემდეგ, რაც ქეთი დოლიძე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნეს, რეჟისორი ამ თეატრში მისი სპექტაკლების თამაშის წინააღმდეგია.

თეატრის ახალმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი სიხარულიძემ ოფიციალური წერილით მიმართა ქეთი დოლიძეს და გააცნო მსახიობების სურვილი, რომ მათ სურთ ითამაშონ ქეთი დოლიძის მიერ დადგმული სპექტაკლი „ტრამვაი-სურვილი“. სპექტაკლში მთავარ როლს ნინელი ჭანკვეტაძე ასრულებს.

გიორგი სიხარულიძემ ქეთი დოლიძეს თეატრში მისვლა და მსახიობებთან რეპეტიციების ჩატარება სთხოვა. თუკი ქეთი დოლიძე ამ წინადადებას არ დათანხმდება, სპექტაკლი 10 და 19 დეკემბერს კინომსახიობთა თეატრში მაინც გათამაშდება.

ქეთი დოლიძე გიორგი სიხარულიძის შეთავაზებას გამოეხმაურა:

— მოგახსენებთ, რომ გავიგე, აპირებთ დანიშნოთ სპექტაკლი „ტრამვაი-სურვილი“.

ეს არის რთული არქიტექტონიკის სპექტაკლი. ის მთლიანად ნახევარტონებზეა აწყობილი და სჭირდება რთული აღდგენითი რეპეტიციები. ამ სპექტაკლში დამდგმელი რეჟისორის როლი ძალიან დიდია და ამიტომ აუცილებელია მხოლოდ ჩემი მონაწილეობა.

ამჟამად, მთავარი როლის შემსრულებელთან მაქვს ურთულესი ფსიქოლოგიური დაძაბულობა და შეუქცევადი პროცესი, რომელიც არაფრით არ მაძლევს საშუალებას, გადავლახო ეს წინააღმდეგობა და მოვიდე რეპეტიციაზე.

საერთოდ მიჭირს თუმანიშვილის თეატრში შემოსვლა და ნორმალური სარეპეტიციო პროცესის ჩატარება.

ეს არაა ის შემთხვევა, როდესაც რეჟისორი სხვა ქალაქში მიდის, ან ფიზიკურად აღარ არსებობს...

დაჟინებით გთხოვთ, არ დანიშნოთ ჩემი სპექტაკლები.

იმ ტრავმის შემდეგ, რაც მე მომაყენეს სამი თვის წინ, ეს გასაგები უნდა იყოს...

## წინანდლის პრემიამ ფინალისტები დაასახელა




ზურაბ ჟვანიას სახელობის „წინანდლის პრემიამ“ ფინალისტები დაასახელა. პრემიის დარგობრივმა კომისიებმა თითოეულ დარგში გამოავლინეს 2017 წლის „წინანდლის პრემიის“ 3-3 ნომინანტი:

თეატრალური ხელოვნება: მარიამ გაგლოშვილი, ქეთევან გიორგაძე, გურამ მაცხონაშვილი. კინოხელოვნება: გიგა ბაინდურაშვილი, გიორგი თავართქილაძე, ბაქარ ჩერქეზიშვილი.

მხატვრული ლიტერატურა, პროზა: ზურა აბაშიძე, მარი ბექაური, ცოტნე ცხვედიანი.

მხატვრული ლიტერატურა, პოეზია: როინ აბუსელიძე, ნინი ელიაშვილი, გიორგი შონია.

მუსიკა: კახი სოლომნიშვილი, ირმა გიგანი, ალექსანდრე კორძაია-კორდზ.

სახვითი ხელოვნება: გიორგი ვარდიაშვილი, ლუკა ცეცხლაძე, გვანცა ჯიშკარიანი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: მანუჩარ გვარამია, ეკა გურგენაშვილი, ომარ ჩალიგავა/ანა ქვლივიძე/ტოლხა შეთეკაური.

ჰუმანიტარული მეცნიერებები: შოთა მათითაშვილი, ნინო ტაბეშაძე, ნათია ჯანგულაშვილი.

„2017 წლის წინანდლის პრემიის“ ლაურეატები გამოვლინდებიან დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება 11 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

თითოეულ ნომინანტს გადაეცემა სპეციალური სიგელი, ხოლო გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან დიპლომით, პრიზითა და ფულადი პრემიით 4000 ლარის ოდენობით.

პროექტი საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით ხორციელდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება — მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**სითხე მენტორი — 4**

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

**☎ 599-73-48-21**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# ტილერსონს პომპეო შეცვლის?!

მას შემდეგ, რაც ტრამპმა სახელმწიფო მდივანი ტილერსონი საჯაროდ გააკრიტიკა, ამერიკულ მედიაში მუსირებს ხმები ტილერსონის გადაყენების შესახებ.

ჟურნალისტები ასახელებენ რამდენიმე კანდიდატს, რომელმაც შესაძლოა ტილერსონი შეცვალოს. ერთ-ერთი მათგანი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი მაიკ პომპეოა.

თეთრმა სახლმა აღნიშნული ინფორმაცია უარყო.

— პირადად მე პირველად მესმის, რომ ტილერსონს პომპეო შეცვლის, — აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი სარა სანდერსი.

სენატორი ბობ კორკერიც თავის მხრივ ამბობს, რომ ხმები ტილერსონის თანამდებობიდან შესაძლო წასვლის თაობაზე სინამდვილეს არ შეესაბამება.

— რექს ტილერსონი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს, — თქვა კორკერმა.

# 400-მა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა სირია დატოვა



სირია 400-მა ამერიკელმა საზღვაო ქვეითმა დატოვა. მათ რაქას გათავისუფლებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს.

— ჩვენმა ბიჭებმა თავიანთი მისია შეასრულეს. ისინი სამშობლოში ბრუნდებიან, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკული არმია სირიას დატოვებს, — აცხადებს ამერიკელი გენერალი ბრაგი.

სირიაში 2.000 ამერიკელი ჯარისკაცი რჩება. ქურთ მოლაშქრეებთან და ზომიერი მიმართულების სირიელ პარტიზანებთან ერთად ისინი ტერორისტების წინააღმდეგ ეფექტურ ოპერაციებს განაგრძობენ.



# ერდოღანმა მერკელს დაურეკა

თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი ტელეფონით გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს დაუკავშირდა. ეს დიდი ხნის შესვენების შემდეგ მათი პირველი კონტაქტი იყო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გერმანია-თურქეთის ურთიერთობებს ახალი იმპულსი სჭირდება, რათა განვითარების შემდგომ საფეხურზე ავიდნენ.

ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი გერმანიასთან ურთიერთობების განვითარებით დაინტერესებულია.

პარალელურად თურქეთის პრეზიდენტი თავის გერმანელ კოლეგა შტაინმაიერსაც დაუკავშირდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პიერლუიჯი კოლინა მსაჯებს — იყავით მამაცები

რამდენიმე დღის წინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კარლო ტავეკიომ თანამდებობა დატოვა. ფუნქციონერმა წასვლა საკუთარი ნებით ისურვა.

მისი წასვლა იტალიის წარუმატებელ გამოსვლას უკავშირდება, რომელიც შედეგად მუნდიალი 2018-ის მიღმა დარჩა.

ფიფასა და უეფას საარბიტრაჟო კომიტეტების ხელმძღვანელმა პიერლუიჯი კოლინამ გამოთქვა სურვილი, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ჩაუდგეს სათავეში. თუმცა, ამ თემაზე ღიად საუბარი ჯერ არ სურს და მედიას იმ დროზე ესაუბრება, როდესაც მსაჯი იყო



***— როგორ ემზადებოდით მატჩისთვის?***

— ეს მორალური სამზადისია. 2002 წელს, გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრებებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ დაპირისპირებამდე, თანამსაჯებთან ერთად 2 დღე სასტუმროს ნომერში მშვიდ გარემოში გავატარე. ჩვენ ვიდეოფირზე ორივე გუნდის მონაწილეობით გამართულ წინა მატჩებს ვუყურებდით და ამა თუ იმ მოთამაშის განსაკუთრებულ თვისებებზე ვამახვილებდით ყურადღებას, რათა ფინალში მცოდნოდა, ვისთან როგორ მელაპარაკა. ეს გახლდათ საფუძვლიანი სამზადისი, რადგან მუნდიალის ფინალი არა მხოლოდ ფეხბურთელებისთვის, არბიტრებისთვისაც უმაღლესი მწვერვალია.

***— მსაჯისთვის საკვების მიღებას რა მნიშვნელობა აქვს და დროის რა მონაკვეთში?***

— საკვები და მისი მიღებისთვის დროის შერჩევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. კონკრეტულად რა ჭამო, ეს მატჩის დაწყების დროზეცაა დამოკიდებული. იტალიაში მატჩები დღის 3 საათზე იწყება, ამიტომაც ყოველთვის 12 საათამდე ვიკვებებოდი. ძირითადად, სპაგეტით და ჯემიანი ფუნთუშით. თუ საღამოს მატჩი მქონდა განსასჯელი, მაშინ შუადღეს კვლავ მაკარონს და ხანდახან გრილზე შემწვარ ზღვის პროდუქტებს ვჭამდი.

***— თქვენთვის ყველა მატჩი ფინალი იყო?***

— ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩისთვისაც ისე ვემზადებოდი, როგორც ნებისმიერი სხვა შეხვედრისთვის. განსაკუთრებული დაპირისპირებები არ არსებობს. თუ რომელიმე გუნდი ამა თუ იმ მატჩს მისთვის იოლად ჩათვლის, ის უბედურები აუცილებლად დამარცხდებიან.

***— მსაჯები ხშირად ცდებიან გადაწყვეტილების მიღების დროს.***

— დიახ, ჩვენც ხანდახან ვცდებით, მაგრამ თუ დარწმუნებული ხარ, რომ მოსამზადებელი პერიოდი უმაღლეს დონეზე გაიარე და შეცდომა მაინც დაფიქსირდა, ეს საგანგაშო არ გახლავთ. ეს მხოლოდ დაგეხმარება მომავალ მატჩზე კონცენტრაცია უკეთ მოახდინო.

***— და დაბალი შეფასებები არ გაღელვებდათ?***

— ყოველთვის უკეთესია, საკუთარი თავი თავადვე შეაფასო, ვიდრე ეს საჯაროდ მოხდეს. ჩემთვის უმთავრესია, თვითონვე გავაანალიზო, რა გავაკეთე სწორად, ან — არასწორად. არა მგონია, ეს სხვებისთვის ძალიან საინტერესო იყოს. ნიშანს ჩემს თავს მხოლოდ თავად ვუწერ. ჩემი აზრით, იდეალური ან გნებავთ საუკეთესო რჩევა, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს.

***— დღევანდელი საფეხბურთო წესები იდეალურია?***

— რა მნიშვნელობა აქვს წესებს? ის არის ისეთი, როგორიც არის. მე ამ წესებში არაფერს შევცვლიდი. გამიმართლა, რომ წესებზე ფიქრი მე არ მომიხდა და მხოლოდ მის ინტერპრეტაციას ვახდენ. ესეც სავსებით საკმარისია.

***— თქვენზე ზეწოლა არასდროს ყოფილა?***

— არბიტრის მთავარი მეგობარი ზეწოლაა. მუშაობის პერიოდში მივხვდი, ძალიან რთულ ეპიზოდებში როგორ გეხმარება ზეწოლის ქვეშ გადაწყვეტილების მიღება. მერე და მერე გავაანალიზე, რომ ეს ყოველდღიურობაშიც გეხმარება. უბრალოდ იღებ გადაწყვეტილებას და ცხოვრებას აგრძელებ.

***— იმ მატჩებით, რომელთაც მსაჯობ-***

გაგრძელება მე-9 გვერდზე


# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა — მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ევროპა მშვიდი ტურის მოლოდინში

## სტატისტიკა, ფსონები

**ამ უქმეებზე ევროპაში ბევრი საინტერესო მატჩი ნამდვილად არ არის. ერთ-ერთი მათგანი გუშინ გვიან ღამე დასრულდებოდა (ნაპოლი-იუვენტუსი), ამიტომ გამოსარჩევად მხოლოდ არსენალი-მანჩესტერის დაპირისპირებას მივიჩნევთ.**



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.12 ჩელსი-ნიუკასლი | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 02.12 ბრაიტონი-ლივერპული | 7.0 | 4.33 | 1.5 |
| 02.12 უოტფორდი-ტოტენჰემი | 4.5 | 4.0 | 1.7 |
| 02.12 ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 02.12 სტოკი-სუონსი | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 02.12 ევერტონი-ჰადერსფილდი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 02.12 ლესტერი-ბარნლი | 1.8 | 3.4 | 4.8 |
| 02.12 არსენალი-მანჩესტერი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 03.12 ბორნმუთი-საუთჰემპტონი | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 03.12 სიტი-ვესტ ჰემი | 1.08 | 11.0 | 23.0 |

**ჩელსი-ნიუკასლი**

ჩელსი: ***ტრავმ-***ჩარლი მუსონდა, მიშუ ბაშტუაი

ნიუკასლი: ***ტრავმ-***კრისტიან ატსუ, პოლ დამერტი

**ბრაიტონი-ლივერპული**

ბრაიტონი: ***ტრავმ-***არავინ

ლივერპული: ***ტრავმ-***არავინ

**უოტფორდი-ტოტენჰემი**

უოტფორდი: ***ტრავმ-***ნათან ჩალობა, იუნის კაბული

ტოტენჰემი: ***ტრავმ-***ტობი ალდერვეირელდი, ვიქტორ ვანიამა

**ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ-***კრის ბრუნტი, ნასერ ჩადლი, კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

კრ.პალასი: ***ტრავმ-***ლიი ჩუნგიონგი

**სტოკი-სუონსი**

სტოკი: ***ტრავმ-***ჯეკ ბატლანდი, ჯეფ კამერონი

სუონსი: ***ტრავმ-***კილი ბარტლი

**ევერტონი-ჰადერსფილდი**

ევერტონი: ***ტრავმ-***არავინ

ჰადერსფილდი: ***ტრავმ-***ფილიპ ბილინგი, მაიკლ ჰეფელე

**ლესტერი-ბარნლი**

ლესტერი: ***ტრავმ-***მატ ჯეიმსი

ბარნლი: ***ტრავმ-***ჯონათან უოლტერსი, ტომ ჰატონი

**არსენალი-მანჩესტერი**

არსენალი: ***ტრავმ-***სანტი კაზორლა

მანჩესტერი: ***ტრავმ-***ერიკ ბაილი, ფილ ჯონსი, მაიკლ კერიკი

**ბორნმუთი-საუთჰემპტონი**

ბორნმუთი: ***ტრავმ-***ჯერმეინ დეფო, ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ-***არავინ

**სიტი-ვესტ ჰემი**

სიტი: ***ტრავმ-***ბენჯამინ მენდი, ჯონ სტოუნზი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ-***ხავიერ ერნანდესი, ჟოზე ფონტე, ჯეიმს კოლინზი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 14 | 13 | 1 | 0 | 44-9 | 40 |
| 2.მანჩესტერი | 14 | 10 | 2 | 2 | 32-8 | 32 |
| 3.ჩელსი | 14 | 9 | 2 | 3 | 25-11 | 29 |
| 4.არსენალი | 14 | 9 | 1 | 4 | 28-16 | 28 |
| 5.ლივერპული | 14 | 7 | 5 | 2 | 28-18 | 26 |
| 6.ბარნლი | 14 | 7 | 4 | 3 | 14-11 | 25 |
| 7.ტოტენჰემი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-12 | 24 |
| 8.უოტფორდი | 14 | 6 | 3 | 5 | 24-25 | 21 |
| 9.ლესტერი | 14 | 4 | 5 | 5 | 19-20 | 17 |
| 10.ბრაიტონი | 14 | 4 | 5 | 5 | 13-14 | 17 |
| 11.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-17 | 16 |
| 12.ნიუკასლი | 14 | 4 | 3 | 7 | 13-19 | 15 |
| 13.ევერტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 17-28 | 15 |
| 14.ჰადერსფილდი | 14 | 4 | 3 | 7 | 9-24 | 15 |
| 15.ბორნმუთი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-16 | 14 |
| 16.სტოკი | 14 | 3 | 4 | 7 | 16-29 | 13 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 2 | 6 | 6 | 12-21 | 12 |
| 18.ვესტ ჰემი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-30 | 10 |
| 19.სუონსი | 14 | 2 | 3 | 9 | 7-16 | 9 |
| 20.კრ.პალასი | 14 | 2 | 3 | 9 | 8-25 | 9 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.12 ბარსელონა-სელტა | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 02.12 ატლეტიკო-სოსიედადი | 1.44 | 4.0 | 7.0 |
| 02.12 სევილია-დეპორტივო | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 02.12 ბილბაო-რეალი | 6.5 | 4.6 | 1.44 |
| 03.12 ლეგანესი-ვილიარეალი | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 03.12 ხეტაფე-ვალენსია | 2.9 | 3.4 | 2.3 |
| 03.12 ეიბარი-ესპანიოლი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 03.12 ლას პალმასი-ბეტისი | 2.2 | 3.6 | 3.1 |
| 04.12 ხირონა-ალავესი | 1.67 | 3.6 | 5.5 |

**ბარსელონა-სელტა**

ბარსელონა: ***ტრავმ-***ხავიერ მასკერანო, ანდრე გომესი, სერხი რობერტო, ოსმან დემბელე

სელტა: ***ტრავმ-***არავინ

**ატლეტიკო-სოსიედადი**

ატლეტიკო: ***ტრავმ-***არავინ

სოსიედადი: ***ტრავმ-***იმანოლ აგირეჩე

**სევილია-დეპორტივო**

სევილია: ***ტრავმ-***სერჟიო ესკუდერო, სიმონ კიაერი, დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

დეპორტივო: ***ტრავმ-***ზაკარია ბაკალი, სიდნეი

**ბილბაო-რეალი**

ბილბაო: ***ტრავმ-***ბენატ ეჩებერია, იკერ მუნიანი

რეალი: ***ტრავმ-***მარკო ასენსიო

**ლეგანესი-ვილიარეალი**

ლეგანესი: ***ტრავმ-***დიმიტრიოს სიოვასი, ომარ რამოსი

ვილიარეალი: ***ტრავმ-***დანიელე ბონერა, დენის ჩერიშევი, ლეო სუარესი, სამუ, რუბენ სემედო, ანდრეს ფერნანდესი

**ხეტაფე-ვალენსია**

ხეტაფე: ***ტრავმ-***გაკუ შიბასაკი

ვალენსია: ***ტრავმ-***ჯეისონ მურილიო

**ეიბარი-ესპანიოლი**

ეიბარი: ***ტრავმ-***ივან რამისი

ესპანიოლი: ***ტრავმ-***ლეო ბაპტიშტაო

**ლას პალმასი-ბეტისი**

ლას პალმასი: ***ტრავმ-***მომო ფიგუერა, ოსამა ტანანე, ალენ ჰალილოვიჩი

ბეტისი: ***ტრავმ-***ჯოელ კემბელი, ზუჰარ ფედალი

**ხირონა-ალავესი**

ხირონა: ***ტრავმ-***პედრო ალკალა

ალავესი: ***ტრავმ-***ექტორი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 2 | 0 | 34-5 | 35 |
| 2.ვალენსია | 13 | 9 | 4 | 0 | 33-12 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 7 | 6 | 0 | 21-6 | 27 |
| 4.რეალი | 13 | 8 | 3 | 2 | 25-11 | 27 |
| 5.სევილია | 13 | 8 | 1 | 4 | 17-14 | 25 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 21 |
| 7.სოსიედადი | 13 | 5 | 4 | 4 | 27-24 | 19 |
| 8.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 9.სელტა | 13 | 5 | 2 | 6 | 24-19 | 17 |
| 10.ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11.ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12.ხეტაფე | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 13.ესპანიოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 10-15 | 16 |
| 14.ლევანტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14-20 | 15 |
| 15.ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 16.ბილბაო | 13 | 3 | 4 | 6 | 14-18 | 13 |
| 17.დეპორტივო | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 18.მალაგა | 13 | 2 | 1 | 10 | 11-28 | 7 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-32 | 7 |
| 20.ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.12 ბაიერნი-ჰანოვერი | 1.17 | 8.0 | 13.0 |
| 02.12 მაინცი-აუგსბურგი | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 02.12 ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი | 2.8 | 3.75 | 2.3 |
| 02.12 ლევერკუზენი-დორტმუნდი | 2.37 | 3.75 | 2.7 |
| 02.12 ვერდერი-შტუტგარტი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 02.12 შალკე-კიოლნი | 1.44 | 4.33 | 7.5 |
| 03.12 ჰერტა-აინტრახტი | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 03.12 ვოლფსბურგი-გლადბახი | 2.5 | 3.6 | 2.6 |

**ბაიერნი-ჰანოვერი**

ბაიერნი: ***ტრავმ-***არიენ რობენი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

ჰანოვერი: ***ტრავმ-***ჯონათასი, ფელიპე, ჩარლისონ ბენშოპი

**მაინცი-აუგსბურგი**

მაინცი: ***ტრავმ-***რენე ადლერი, კარიმ ონისივო

აუგსბურგი: ***ტრავმ-***არავინ

**ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ-***ბენჯამინ ჰუბნერი, ფელიქ პასლაკი, რობინ ჰაკი

ლაიპციგი: ***ტრავმ-***მარსელ საბიცერი, სტეფან ილსკანერი, მარვინ კომპერი

**ლევერკუზენი-დორტმუნდი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ-***არავინ

დორტმუნდი: ***ტრავმ-***ლუკაშ პიშჩეკი, მარკო როისი, სებასტიან როდე

**ვერდერი-შტუტგარტი**

ვერდერი: ***ტრავმ-***ზლატკო იუნუზოვიჩი, არონ იოჰანსონი, მაქსიმილიან ეგეშტეინი

შტუტგარტი: ***ტრავმ-***დანიელ გინცეკი, ჩადრაკ აკოლო, ანასტასიოს დიონისი, მარცინ კამინსკი, მატიას ციმერმანი

**შალკე-კიოლნი**

შალკე: ***ტრავმ-***ნაბილ ბენტალები

კიოლნი: ***ტრავმ-***დომინიკ მარო, ჯონ კორდობა, ლეონარდო ბიტენკურტი, სიმონ ზოლერი, დომინიკ ჰაინცი, მარსელ რიისე, მარკო ჰოგერი, იონას ექტორი

**ჰერტა-აინტრახტი**

ჰერტა: ***ტრავმ-***ნიკლას სტარკი, ვლადიმირ დარიდა

აინტრახტი: ***ტრავმ-***მარკო რუსი, ჯონათან დე გუზმანი, ტიმოთი ჩანდლერი

**ვოლფსბურგი-გლადბახი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ-***იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

გლადბახი: ***ტრავმ-***იონას ჰოფმანი, იბრაჰიმა ტრაორე, ლასლო ბენეში, რაულ ბობადილა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 9 | 2 | 2 | 31-10 | 29 |
| 2.ლაიპციგი | 13 | 8 | 2 | 3 | 22-15 | 26 |
| 3.შალკე | 13 | 7 | 3 | 3 | 20-14 | 24 |
| 4.გლადბახი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-22 | 24 |
| 5.დორტმუნდი | 13 | 6 | 3 | 4 | 33-20 | 21 |
| 6.ლევერკუზენი | 13 | 5 | 5 | 3 | 26-18 | 20 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-18 | 20 |
| 8.აუგსბურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 9.აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 10.ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-16 | 19 |
| 11.ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 12.შტუტგარტი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 13.მაინცი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 14.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 8 | 3 | 17-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 13 | 4 | 1 | 8 | 13-20 | 13 |
| 16.ფრაიბურგი | 13 | 2 | 5 | 6 | 9-25 | 11 |
| 17.ვერდერი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-16 | 8 |
| 18.კიოლნი | 13 | 0 | 2 | 11 | 4-25 | 2 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.12 ტორინო-ატალანტა | 2.37 | 3.4 | 2.87 |
| 03.12 ბენევენტო-მილანი | 8.0 | 5.0 | 1.36 |
| 03.12 ბოლონია-კალიარი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 03.12 ინტერი-კიევო | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 03.12 ფიორენტინა-სასუოლო | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 03.12 სამპდორია-ლაციო | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 04.12 კროტონე-უდინეზე | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 04.12 ვერონა-ჯენოა | 3.3 | 3.3 | 2.2 |

**ტორინო-ატალანტა**

ტორინო: ***ტრავმ-***სადიქ უმარი, სამუელ გუსტაფსონი

ატალანტა: ***ტრავმ-***ლეონარდო სპინაზოლა

**ბენევენტო-მილანი**

ბენევენტო: ***ტრავმ-***ამატო ჩირიჩირეტი, პიეტრო იემენოლო, დანილო კატალდი

მილანი: ***ტრავმ-***იგნასიო აბატე, ალესიო რომანიოლი, დავიდე კალაბრია, ანდრეა კონტი

**ბოლონია-კალიარი**

ბოლონია: ***ტრავმ-***ჯანკარლო გონსალესი, სეზარ ფალეტი, ფედერიკო დი ფრანჩესკო, ანდრეა პოლი, ფილიპ ჰელანდერი, მანუელ ვალენსია

კალიარი: ***ტრავმ-***მარკო საუ, ნიკოლო ბარელა, გრეგორი ვან დერ ვილი, ლუკა კროსტა, ალესანდრო დეიოლა

**ინტერი-კიევო**

ინტერი: ***ტრავმ-***რობერტო გალიარდინი, მირანდა

კიევო: ***ტრავმ-***ლუკას კასტრო, მეჰდი ლერისი

**ფიორენტინა-სასუოლო**

ფიორენტინა: ***ტრავმ-***სიმონე ლო ფასო, რაფიკ ზეჰნინი

სასუოლო: ***ტრავმ-***ფრანჩესკო მანანელი, ნიკოლას პიერინი, კლოდ აჯაპონგი, ალფრედ დუნკანი

**სამპდორია-ლაციო**

სამპდორია: ***ტრავმ-***ფილიპ ჯურიჩიჩი

ლაციო: ***ტრავმ-***ნანი, ლუკასი, დავიდე დი ჯენარო

**კროტონე-უდინეზე**

კროტონე: ***ტრავმ-***ანტე ბუდიმირი, არისტოტელეს რომერო, ოლივერ კრაგლი, მარკო ტუმინელო

უდინეზე: ***ტრავმ-***ვალონ ბეჰრამი

**ვერონა-ჯენოა**

ვერონა: ***ტრავმ-***მოჰამედ ფარესი, მოის კინი, ალექს ფერარი

ჯენოა: ***ტრავმ-***მიგელ ველოსო, ანდრეი გალაბინოვი, პეტარ ბრლეკი, ფრანჩესკო მილიორე, ლუკა როზეტინი, გორან პანდევი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 14 | 12 | 2 | 0 | 35-9 | 38 |
| 2.ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 28-10 | 36 |
| 3.იუვენტუსი | 14 | 11 | 1 | 2 | 40-14 | 34 |
| 4.რომა | 13 | 10 | 1 | 2 | 24-9 | 31 |
| 5.ლაციო | 13 | 9 | 2 | 2 | 33-15 | 29 |
| 6.სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7.მილანი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-18 | 20 |
| 8.ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 9.კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 10.ატალანტა | 14 | 5 | 4 | 5 | 20-18 | 19 |
| 11.ტორინო | 14 | 4 | 7 | 3 | 18-20 | 19 |
| 12.ფიორენტინა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-19 | 18 |
| 13.კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14.უდინეზე | 13 | 4 | 0 | 9 | 18-24 | 12 |
| 15.კროტონე | 14 | 3 | 3 | 8 | 11-27 | 12 |
| 16.სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17.ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-20 | 10 |
| 18.სპალი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-23 | 10 |
| 19.ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20.ბენევენტო | 14 | 0 | 0 | 14 | 6-34 | 0 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 02.12 სტრასბური-პსჟ | 13.0 | 8.0 | 1.17 |
| 02.12 ტრუა-გენგამი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 02.12 რენი-ამიენი | 2.0 | 3.1 | 4.2 |
| 02.12 ლილი-ტულუზა | 2.0 | 3.4 | 3.8 |
